„ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ" სახელმწიფო პროგრამის შესრულების საბოლოო ანგარიში

სარჩევი

შესავალი 3

ზოგადი პროგრესი 4

სახელმწიფო პროგრამის გავლენის შეფასება 4

სახელმწიფო პროგრამის განხორციელების შეფასება 9

დეტალური პროგრესი 17

მიმართულება 1 - ავტოტრანსპორტის სექტორი 17

მიმართულება 2 - სამშენებლო სექტორი 45

მიმართულება 3 - ქალაქის მწვანე საფარი 49

მიმართულება 4 - ჰაერის ხარისხის და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი 52

მიმართულება 5 - საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება 60

გამოწვევები და რეკომენდაციები 71

გამოწვევები და რისკები 71

რეკომენდაციები და შემდგომი ნაბიჯები 72

შესავალი

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივლისის N1457 განკარგულებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ" სახელმწიფო პროგრამა (შემდგომში - სახელმწიფო პროგრამა) წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული მიზნის შესაბამისად სახელმწიფო პროგრამა აერთიანებს ხუთ ძირითად მიმართულებას. ესენია:

1. ავტოტრანსპორტის სექტორი
2. სამშენებლო სექტორი
3. ქალაქის მწვანე საფარი
4. ჰაერის ხარისხის და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი
5. საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

აღნიშნული მიმართულებების ფარგლებში დაიგეგმა 13 ღონისძიება და 34 აქტივობა. ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებლები იყვნენ სამთავრობო უწყებები და ადგილობრივი მუნიპალიტეტის ორგანოები.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს სახელმწიფო პროგრამის ღონისძიებებისა და აქტივობების შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2017 წლის 12 ივლისიდან 2020 წლის 31 დეკემბრის პერიოდში.

ანგარიში შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს კოორდინირებით პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული ინფორმაციისა და სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ძველი ანგარიშების საფუძველზე.

ანგარიშის პროექტი განხილულ და შეთანხმებულ იქნა სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი უწყებების მიერ.

ზოგადი პროგრესი

სახელმწიფო პროგრამის გავლენის შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას. შესაბამისად, იმისთვის, რათა შევაფასოთ სახელმწიფო პროგრამის წარმატება თუ წარუმატებლობა, აუცილებელია განვსაზღვროთ მიაღწია თუ არა მან დასახულ მიზანს, ანუ გაუმჯობესდა თუ არა ატმოსფერული ჰაერის ხარისხი დედაქალაქში.

საქართველოს სხვა უმსხვილესი ქალაქების მსგავსად ქ. თბილისშიც პრობლემურ დამბინძურებლებს უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკები (PM10, PM2.5) და აზოტის დიოქსიდი (NO_2) წარმოადგენს. სხვა მავნე ნივთიერებები, მათ შორის ტყვია ნორმის ფარგლებშია ან მკვეთრად დაბალია ნორმაზე.

მყარი ნაწილაკები (PM10 და PM2,5) დედაქალაქის ატმოსფერული ჰაერის ერთ-ერთი მთავარი დამბინძურებელია. აღნიშნულ დამბინძურებლებთან მიმართებით თბილისის ჰაერის ხარისხი 2017 წელთან შედარებით 2020 წელს გაუმჯობესებულია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (დიაგრამა 1 და დიაგრამა 2) მოყვანილია ქ. თბილისში მოქმედი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სამი ავტომატური სადგურის შედეგები 2017 და 2020 წლებში, სადაც მყარი ნაწილაკების წლიური კონცენტრაციები შედარებულია მათთვის დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობებს.

<u>დიაგრამა 1</u>



<u>დიაგრამა 2</u>



აღსანიშნავია, რომ ყველა სადგურზე ორივე ფრაქციის მყარი ნაწილაკებისთვის 2020 წელს 2017 წელთან შედარებით შეინიშნება დადებითი ანუ შემცირების ტენდენცია. კერძოდ, თუ 2017 წელს PM10-ის საშალო წლიური კონცენტრაცია დადგენილ ნორმაზე მნიშვნელოვნად (თითქმის 50%-ით) მაღალი იყო წერთელის გამზირზე, ყაზბეგის გამზირზე ზღვარს სცდებოდა, ხოლო ვარკეთილზე ზღვართან მაქსიმალურად ახლოს იყო, 2020 წელს სამივე სადგურზე ნორმას აღარ აჭარბებს. მსგავსი ტენდენცია გვაქვს PM2,5-თანაც. სამივე სადგურზე დაბინძურების დონემ იკლო. თუ კი 2017 წელს იგი იმდროინდელ ნორმას (25 მკგ/მ³) წერეთლის გამზირზე აჭარბებდა, 2020 წელს არცერთ სადგურზე არ ფიქსირდება გამკაცრებული ნორმის (20 მკგ/მ³) გადაჭარბება.

მყარი ნაწილაკების გაფრქვევის წყაროები იყოფა ბუნებრივ და ანთროპოგენულ წყაროებად. აღნიშნული შემცირება განპირობებულია ორივე ამ ტიპის წყაროებიდან ზეწოლის შემცირებით. კერძოდ, ბუნებრივი წყაროებიდან შემცირდა როგორც ქვეყნის გარედან უდაბნოს მტვრის მასების შემოჭრა, ისე ღია გრუნტიდან ამტვერება. აღსანიშნავია, რომ საჰარის, არაბეთის ნახევარკუნძულისა და შუა აზიის უდაბნოებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მტვრის მასების შემოჭრა საკმაოდ ხშირ ხასიათს ატარებს. ამ მოვლენას 2017 წელთან შედარებით 2020 წელს გაცილებით იშვიათი სახე ჰქონდა. მაგალითისთვის, თუ 2017 წელს წერეთლის გამზირზე უდაბნოს მტვრის შემოჭრის გამო PM10-ის დღიური ნორმის გადაჭარბება 78-ჯერ დაფიქსირდა, იგივე მაჩვენებელმა 2020 წელს 27-მდე დაიწია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი წყაროდან - ღია გრუნტიდან მყარი ნაწილაკების გავრცელების მასშტაბის შემცირება უზრუნველყოფილ იქნა დედაქალაქში გაზონის მოვლა-პატრონობის, მულჩირების თუ სხვა საშუალებებით მიწის ზედაპირის დაფარვის ფართომასშტაბიანი ღონისძიებებით.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა დაბინძურების ანთროპოგენული წყაროებიდან მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შესამცირებლად. კერძოდ:

- გამკაცრდა სამშენებლო რეგულაციები, რაც მოიცავს შემდეგ მოთხოვნებს:
    - ამტვერებადი მასალის გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვა;
    - ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრისთვის სანქციის დაწესება;
    - მშენებარე კონსტრუქციის ამტვერებადი მასალის შეფუთვის ვალდებულება;
    - ამტვერებადი მასალის სველი მეთოდით დამუშავება.
- გაუმჯობესდა დიზელის საწვავის ხარისხი, რითაც შემცირდა გოგირდის დიოქსიდის გაფრქვევები და შესაბამისად, შემცირდა გოგირდის დიოქსიდისგან წარმოქმნილი მეორადი მყარი ნაწილაკებიც.
- ამოქმედდა ასს-ების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება. ელექტრომობილების ხელშეწყობის მიზნით მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა. განახლდა ავტობუსებისა და მიკროავტობუსების პარკი და მოეწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი სპეციალური სავალი ზოლები.

მყარ ნაწილაკებთან ერთად (PM10 და PM2,5) დედაქალაქის ატმოსფერული ჰაერის უმთავრესი დამბინძურებელია **აზოტის დიოქსიდი** (NO_2). ატმოსფერულ ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაცია 2017-2020 წლებში იზომებოდა 4 ავტომატური მონიტორინგის სადგურზე და ინდიკატორული დაკვირვების 20-ზე მეტ პუნქტზე. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორული გაზომვები 2017-2018 და 2019-2020 წლებში განსხვავებულ ლოკაციებზე წარმოებდა. შესაბამისად, შესაძლებელია მხოლოდ 2017-2018 და 2019-2020 წლებში ინდიკატორული გაზმომვებით მიღებული შედეგების შედარება.

2017-2020 წლის ინდიკატორული გაზომვების შედეგების მიხედვით, აზოტის დიოქსიდით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება რჩება დედაქალაქის უმნიშვნელოვანეს გარემოსდაცვით გამოწვევად. აღნიშნულ პერიოდში ქ. თბილისში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილება არ შეინიშნება, თუმცა ავტოპარკის ყოველწლიური საშუალოდ 5%-იანი ზრდის პირობებში, მაინც ფიქსირდება მცირედით გაუმჯობესებული მონაცემები. კერძოდ, 2017-2018 წლებში 21 დაკვირვების პუნქტიდან 18 პუნქტზე აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ იკლო, ხოლო 3 პუნქტზე მოიმატა (იხ. დიაგრამა 3). ასევე, 2017 წელს აზოტის დიოქსიდის კონცენტრაცია ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული დაკვირვების 21-დან 17, ხოლო 2018 წელს 21-დან 16 პუნქტზე აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. 2019-2020 წლებში 25 დაკვირვების პუნქტიდან 16 პუნქტზე აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ იკლო, ხოლო 9 პუნქტზე მოიმატა (იხ. დიაგრამა 4). აღსანიშნავია, რომ აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციამ იკლო დედაქალაქის ფონური მონიტორინგის 12-ვე წერტილში (რეკრეაციული ზონები, სკოლის ეზოები, ა.შ.). ასევე, 2019 წელს აზოტის დიოქსიდის კონცენტრაცია ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული დაკვირვების 25-დან 13, ხოლო 2020 წელს 25-დან 12 პუნქტზე აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას.

<u>დიაგრამა 3</u>



<u>დიაგრამა 4</u>



აღსანიშნავია, რომ აზოტის დიოქსიდით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით პრობლემური ლოკაციები მდებარეობენ საავტომობილო გზის მიმდებარედ, რაც ადასტურებს იმას, რომ ქ. თბილისში აზოტის დიოქსიდის ძირითადი წყარო სატრანსპორტო სექტორია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა სატრანსპორტო სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად, ფაქტია, რომ აღნიშნული ძალისხმევა არასაკმარისია და საჭიროა კიდევ უფრო ამბიციური და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

სახელმწიფო პროგრამის განხორციელების შეფასება

სახელმწიფო პროგრამის განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა

სახელმწიფო პროგრამის განხორციელების პროგრესის ზუსტი შეფასება რთულია, რადგანაც პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე ღონისძიებებისა და აქტივობებისთვის არ იყო იდენტიფიცირებული შედეგის ინდიკატორები. ამიტომაც, წინამდებარე ანგარიშში ღონისძიებათა და აქტივობათა შესრულების რეიტინგი და სტატუსი განისაზღვრა აღნიშნულ ღონისძიებათა და აქტივობათა შინაარსიდან და მათ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე. ამასთან, გაკეთდა დაშვება, რომ იმ აქტივობებათა შესრულების შეფასება, რომლებიც გულისხმობდნენ გარკვეული პოლიტიკის დოკუმენტების და სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებას, განხილულ იქნეს იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო პროგრამის დასასრულს მათ უკვე უნდა ჰქონდეთ ფორმალური სტატუსი ანუ უნდა ყოფილიყვნენ შესაბამისი უწყების მიერ დამტკიცებულნი.

აგრეთვე, დაგეგმვის ეტაპზე არ იყო განსაზღვრული ბიუჯეტი ღონისძიებებისა და აქტივობების განსახორციელებლად, რაც არ გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ სახელმწიფო პროგრამის შესრულების ფინანსური მხარე.

სახელმწიფო პროგრამა შედგება 13 ღონისძიებისგან, რომლებიც იყოფა 34 აქტივობად. ამასთან, 4 ღონისძიება არის უნიკალური იმ მხრივ, რომ არ იყოფა აქტივობებად, ამიტომაც ასეთი ღონისძიებებიც განხილულია აქტივობის ჭრილში. შესაბამისად, ჯამურად შეფასებულია 38 აქტივობა (მათ შორის 4 ღონისძიება) და დასკვნებიც სწორედ მათზე დაყრდნობითაა გამოტანილი. სახელმწიფო პროგრამის საკვანძო მიმართულებაა ავტოტრანსპორტის სექტორი, რომელზეც მოდის დაგეგმილ აქტივობათა 55% (21 აქტივობა).

მიმართულება	ღონისძიებების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა
მიმართულება 1. ავტოტრანსპორტის სექტორი	5	21
მიმართულება 2. სამშენებლო სექტორი	2	-
მიმართულება 3. ქალაქის მწვანე საფარი	2	-
მიმართულება 4. ჰაერის ხარისხის და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი	2	6
მიმართულება 5. საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება	2	7

სახელმწიფო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგები

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 21 აქტივობა (მათ შორის 3 ღონისძიება) სრულად შესრულდა, რაც შეადგენს აქტივობათა საერთო რაოდენობის 55%-ს. ასევე უმეტესწილად შესრულდა აქტივობათა 16% (6 აქტივობა). ამავდროულად, არ შესრულდა სახელმწიფო პროგრამის 1 ღონისძიება და 2 აქტივობა (ჯამში 8%).

დიაგრამა 5



თუკი სახელმწიფო პროგრამის შესრულებას მიმართულებების ჭრილში განვიხილავთ, მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება მესამე (ქალაქის მწვანე საფარი) და მეხუთე მიმართულებების (საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება) ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების/აქტივობების განხორციელების კუთხით. კერძოდ, დედაქალაქში გაიზარდა მწვანე საფარი (ღონისძიება 3.1), ჩატარდა შესაბამისი მოვლა-პატრონობის სამუშაოები (ღონისძიება 3.2), განხორციელდა ატმოსფერული ჰაერის საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებისა (ღონისძიება 5.1) და ინფორმირების გაზრდის (ღონისძიება 5.2) ღონისძიებები.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის საკვანძო მიმართულების - ავტოტრანსპორტის სექტორი - ფარგლებში წარმატებით განხორციელდა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, მათ შორის, ასს-ებისთვის გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე სისტემის დანერგვა და ამოქმედება (ღონისძიება 1.1), საავტომობილო საწვავის ხარისხის გაუმჯობესება (ღონისძიება 1.3) და საზოგადოებრივი ტრანსპორტის პარკის განახლება და ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტექნოლოგიებზე გადასვლა (აქტივობა 1.4.1).

<u>დიაგრამა 6</u>



<u>დიაგრამა 7</u>



სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების 75% სრულად შეასრულა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 70% კი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განხორციელებულ აქტივობებს შორის აღსანიშნავია სანქციებისა და გზებზე კონტროლის გამკაცრება იმ ასს-ების მიმართ, რომლებსაც არ აქვთ გავლილი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება (აქტივობა 1.1.2 და 1.1.3) და

ავტომობილების მართვის მოწმობის საგამოცდო ტესტებში ეკო-მართვის წესების შეტანა (აქტივობა 5.1.3). გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორის კი აღსანიშნავია საავტომობილო საწვავის ხარისხისა და მისი კონტროლის გაუმჯობესება (აქტივობა 1.3.1 და 1.3.2), ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესება (აქტივობა 4.1.2, 4.1.3 და 4.1.4), ატმოსფერული ჰაერის საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება (აქტივობა 5.1.2) და ინფორმირების გაზრდა (აქტივობა 5.2.1).

<u>დიაგრამა 8</u>



[1]

სახელმწიფო პროგრამის მთავარმა განმახორციელებელმა უწყებამ - ქ. თბილისის მუნიციპატილეტის მერიამ სრულად შეასრულა დაგეგმილ აქტივობათა 44%, ასევე უმეტესწილად შეასრულა აქტივობათა 19%. უწყების მიერ განხორციელებულ აქტივობათა შორის აღსანიშნავია დედაქალაქში ტაქსების რეფორმის ჩატარება (აქტივობა 1.2.6), ავტობუსების პარკის განახლება ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტით (აქტივობა 1.4.1), საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლების მოწყობა (აქტივობა 1.5.1), ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედისტთა სავალი გზების განვითარება (აქტივობა 1.5.2), პარკირების ზონალურ-საათობრივი სისტემის დანერგვა (აქტივობა 1.5.4), სამშენებლო რეგულაციების გამკაცრება (ღონისძიება 2.1), დედაქალაქში მწვანე საფარის გაზრდა (ღონისძიება 3.1) და მოვლა-პატრონობა (ღონისძიება 3.2).

[1] აქტივობა 1.1.5 მიკუთვნებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის. დიაგრამაზე არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომლის ერთადერთი აქტივობა შესრულდა სრულად.

<u>დიაგრამა 9</u>



სახელმწიფო პროგრამის განხორციელების შედეგად მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ამოქმედდა ასს-ებისთვის გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე სისტემა, რომელსაც ყოველწლიურად გადის 700 ათასამდე ასს. 2018-2020 წლებში ჯამში შემოწმება გაიარა 1.5 მილიონზე მეტმა ასს-მა;
- გამკაცრდა სანქციები და გზებზე კონტროლი იმ ასს-ების მიმართ, რომლებსაც არ აქვთ გავლილი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება. დაწესდა სპეციფიკური მოთხოვნები ტესტირების ცენტრების მიმართ;
- ასს-ების ეკოლოგიურობის კლასების შემოღების მიზნით შემუშავდა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის სამუშაო ვერსია;
- დედაქალაქში განთავსდა ელექტრომობილების სწრაფდამტენი 38 მოწყობილობა;
- შემუშავდა თბილისში ტაქსების მართვის კონცეფცია და ჩატარდა ტაქსების რეფორმის ორი ეტაპი;
- გაუმჯობესდა საავტომობილო საწვავის ხარისხი. კერძოდ, დიზელის საწვავის ხარისხი ე.წ. ევრო 4-ის სტანდარტს გაუტოლდა. აგრეთვე, დიზელისა და ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს ახალი პარამეტრები დაემატა და ისინი მაქსიმალურად დაუახლოვდა ევროდირექტივებით განსაზღვრული პარამეტრების ნუსხას;

- მნიშვნელოვნად გამკაცრდა სანქციები საავტომობილო საწვავის ხარისხის დადგენილი ნორმების დარღვევებისთვის. საავტომობილო საწვავის ხარისხის რეგულარული კონტროლის ფარგლებში 2017-2020 წლებში აღებულ იქნა 900-მდე სინჯი;
- განახლდა დედაქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ეკოლოგიურად უფრო სუფთა 680 ავტობუსითა და 300 მიკროავტობუსით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლები მოეწყო თბილისის 16 ცენტრალურ ქუჩაზე;
- სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით თბილისში დაინერგა საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზებული სისტემა, ქალაქში შუქნიშნების რაოდენობა გაიზარდა 109 ერთეულით. თბილისის 63 ქუჩაზე (ლოკაციაზე) ამოქმედდა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა;
- 2017-2020 წლებში გაუმჯობესდა ფეხით მოსიარულეთა სავალი გზები 18 კმ-ზე და მოეწყო ჯამში 19 კმ სიგრძის ველო-ბილიკები;
- გამკაცრდა სანქციები და ზედამხედველობა თბილისში მშენებლობის ან სამშენებლო მასალების გადაზიდვის პროცესში გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულებაზე. შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევისთვის შედგა 833 საჯარიმო ქვითარი;
- 2018-2020 წლებში ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე დაირგო სხვადასხვა სახეობის 137 432 ძირი ხე-მცენარე და 795 000 სეზონური ყვავილი. აგრეთვე, მწვანე საფარი მოეწყო ჯამში 281 432 $მ^2$-ზე;
- 2018-2020 წლებში თბილისში გამწვანების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებით მოცული ტერიტორიის ფართობი გაიზარდა 163 700 $მ^2$-ით და 442 705 $მ^2$ შეადგინა;
- დამტკიცდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ახალი სტანდარტები. დედაქალაქის 26 ლოკაციაზე წელიწადში 4-ჯერ ტარდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები. შეძენილ იქნა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგური;
- შერჩეულ იქნა დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის ინდიკატორები და მეთოდოლოგია;
- ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზეგავლენის, ასევე ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების არაერთი კამპანია და ღონისძიება, რომლებიც გაშუქდა სხვადასხვა საინფორმაციო არხების საშუალებით;
- მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებს დაემატა ავტომობილების ეკო-მართვის წესების შესახებ საკითხები. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნა მდგრადი განვითარების პრინციპები;
- შეიქმნა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი - air.gov.ge, სადაც განთავსდა თბილისის მონიტორინგის ქსელიდან მიღებული მონაცემები.

თითო-თითო შეუსრულებელი აქტივობა თანაბრად გადანაწილდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგადი განვითარების სამინისტროზე. კერძოდ, არ შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- აქტივობა 1.2.5 - ძველი ავტომობილების ელექტრომობილებით ჩანაცვლების კონცეფციის მომზადება

- ღონისძიება 2.2 - მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების თბომომარაგებისათვის (გათბობა-ცხელწყალმომარაგება) განკუთვნილი ნებისმიერი ხელსაწყოს მიერ მოხმარებული სათბობის წვის პროდუქტების ემისიის, შენობის სახურავის მაღლა (ტექნიკური რეგლამენტით/სტანდარტით განსაზღვრულ ნიშნულზე) გაფრქვევის უზრუნველსაყოფად, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში სავალდებულო მოთხოვნის შემუშავება
- აქტივობა 4.1.1 - ქ. თბილისის ჰაერის ხარისხის მოდელირება

უფრო დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამის ღონისძიებათა და აქტივობათა შესრულების სტატუსის შესახებ ხელმისაწვდომია ქვემოთ მოცემულ ცხრილსა და დეტალური პროგრესის ნაწილში.

	მიმართულება	N	ღონისძიება/აქტივობა	სტატუსი	ფერი
1	ავტოტრანსპორტის სექტორი	1.1	**ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ასს-ების) გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე ეფექტური სისტემის დანერგვა და ამოქმედება**		
		1.1.1	ევროკავშირის კანონმდებლობის სტანდარტების გათვალისწინებით, ასს-ების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ტექნიკური რეგლამენტის მიღება	სრულად შესრულდა	
		1.1.2	საკანონმდებლო ცვლილების მომზადება ჯარიმების გაზრდის თაობაზე იმ ასს-ებისთვის, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება	სრულად შესრულდა	
		1.1.3	გზებზე კონტროლის გამკაცრება იმ ასს-ების მიმართ, რომლებსაც არ აქვთ გავლილი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება	სრულად შესრულდა	
		1.1.4	შესაბამისი საკანონმდებლო/კანონქვემდებარე ცვლილებების მომზადება ტესტირების ცენტრების მიმართ წაყენებული მოთხოვნების გამკაცრების მიზნით	სრულად შესრულდა	
		1.1.5	ძველი ამორტიზებული ასს-ების უტილიზაციის კონცეფციის შემუშავება	უმეტესწილად შესრულდა	
		1.2	**ავტოპარკის გაახალგაზრდავების და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობა**		
		1.2.1	ასს-ების ეკოლოგიურობის კლასების შემოღების სამართლებრივი ბაზის შემუშავება	ნაწილობრივ შესრულდა	
		1.2.2	ასს-ების იმპორტის ეტაპობრივი აკრძალვა ეკოლოგიურობის კლასების მიხედვით	ნაწილობრივ შესრულდა	
		1.2.3	ელექტრომობილების სწრაფდამტენების ინფრასტრუქტურის მოწყობა	ნაწილობრივ შესრულდა	
		1.2.4	ელექტრომობილებისათვის უფასო და სწრაფდამტენებით აღჭურვილ ადგილებში სპეციალური პარკირების უზრუნველყოფა	უმეტესწილად შესრულდა	
		1.2.5	ძველი ავტომობილების ელექტრომობილებით ჩანაცვლების კონცეფციის მომზადება	არ შესრულდა	
		1.2.6	ტაქსების მართვის კონცეფციის შემუშავება	სრულად შესრულდა	
		1.3	**საავტომობილო საწვავის ხარისხის გაუმჯობესება**		
		1.3.1	დიზელის საწვავის ხარისხობრივი ნორმების ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოვება	უმეტესწილად შესრულდა	
		1.3.2	საავტომობილო საწვავის ხარისხის რეგულარული კონტროლი ნავთობპროდუქტების საცავებში, რეალიზაციის საცალო და საბითუმო პუნქტებში	სრულად შესრულდა	
		1.4	**საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია**		
		1.4.1	ავტობუსების პარკის განახლება და ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტექნოლოგიებზე გადასვლა	სრულად შესრულდა	
		1.4.2	მიწისზედა ელექტროტრანსპორტის ტრამვაის განვითარების კონცეფციის შემუშავება	ნაწილობრივ შესრულდა	
		1.4.3	საბაგირო ხაზების მშენებლობა	ნაწილობრივ შესრულდა	
		1.5	**საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესება**		
		1.5.1	საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლების მოწყობა და მარშრუტების დაგეგმვა	უმეტესწილად შესრულდა	
		1.5.2	ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედისტთა სავალი გზების განვითარება	სრულად შესრულდა	
		1.5.3	სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაცია, მათ შორის შუქნიშნების მართვის სისტემის გაფართოება და მოდერნიზაცია	უმეტესწილად შესრულდა	
		1.5.4	პარკირების საფასურის საათობრივი გადახდის კონცეფციის შემუშავება	სრულად შესრულდა	
		1.5.5	თბილისის ტერიტორიაზე ჰაერის მაღალი დაბინძურების ზონების გამოყოფა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება აღნიშნულ ზონებში დაბინძურების დონის შესამცირებლად	ნაწილობრივ შესრულდა	
2	სამშენებლო სექტორი	2.1	მშენებლობის პროცესში „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობის გამკაცრება	სრულად შესრულდა	

		2.2	მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების თბომომარაგებისათვის (გათბობა-ცხელწყალმომარაგება) განკუთვნილი ნებისმიერი ხელსაწყოს მიერ მოხმარებული სათბობის წვის პროდუქტების ემისიის, შენობის სახურავის მაღლა (ტექნიკური რეგლამენტით/სტანდარტით განსაზღვრულ ნიშნულზე) გაფრქვევის უზრუნველსაყოფად, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში სავალდებულო მოთხოვნის შემუშავება	არ შესრულდა	
3	ქალაქის მწვანე საფარი	3.1	ქალაქის ცენტრალურ უბნებში მწვანე ზონების გაზრდა	სრულად შესრულდა	
		3.2	გაზონების მოვლა-პატრონობა	სრულად შესრულდა	
4	ჰაერის ხარისხის და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი	4.1	**ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება**		
		4.1.1	ქ. თბილისის ჰაერის ხარისხის მოდელირება	არ შესრულდა	
		4.1.2	ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შემოღება	სრულად შესრულდა	
		4.1.3	ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვების განხორციელება და დედაქალაქის ცხელი წერტილების გამოვლენა	სრულად შესრულდა	
		4.1.4	ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგურის შეძენა და მონიტორინგი ქალაქის სხვადასხვა წერტილში	სრულად შესრულდა	
		4.2	**დაბინძურებული ჰაერის ზეგავლენის შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე**		
		4.2.1	დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის ინდიკატორებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა	უმეტესწილად შესრულდა	
		4.2.2	დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ანგარიშის წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის	ნაწილობრივ შესრულდა	
5	საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება	5.1	**საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება**		
		5.1.1	საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციის საინფორმაციო კამპანია	ნაწილობრივ შესრულდა	
		5.1.2	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზეგავლენის, ასევე ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება (გაშუქება მასობრივი ინფორმაციის, მიზნობრივი ლიტერატურისა და სწავლების პროპაგანდის საშუალებით)	სრულად შესრულდა	
		5.1.3	მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებში დამატებით ავტომობილების ეკო-მართვის წესების შესახებ საკითხების შეტანა	სრულად შესრულდა	
		5.1.4	გარემოს დაცვის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება ეროვნულ სასწავლო გეგმაში	სრულად შესრულდა	
		5.1.5	საზოგადოების ინფორმირება უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მგზავრობის უპირატესობის შესახებ	სრულად შესრულდა	
		5.2	**საზოგადოების ინფორმირება**		
		5.2.1	თბილისის ავტომატური მონიტორინგის ქსელის მონაცემების ონლაინ რეჟიმში ვებ-გვერდზე განთავსება	სრულად შესრულდა	
		5.2.2	სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება	სრულად შესრულდა	

დეტალური პროგრესი

მიმართულება 1 - ავტოტრანსპორტის სექტორი

მიმართულება 1 მოიცავს 5 ღონისძიებას და ჯამში 21 აქტივობას, რომელთა შორის 9 აქტივობა შესრულდა სრულად, 5 - უმეტესწილად, 6 - ნაწილობრივ, ხოლო 1 არ შესრულდა. ღონისძიებები ორიენტირებული იყო ტრანსპორტიდან, რომელიც არის ურბანული ჰაერის დაბინძურების მთავარი წყარო, ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების შემცირებაზე და ამ გზით თბილისში და ზოგადად საქართველოში მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ავტოსატრანსპორტო სექტორში დაგეგმილ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული წარმატებით განხორციელდა ღონისძიება 1.1 - ასს-ებისთვის გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე ეფექტური სისტემის დანერგვა და ამოქმედება, კერძოდ სრულად შესრულდა აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობათა 80%. ასევე, მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნა საავტომობილო საწვავის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით (ღონისძიება 1.3) და ზომიერი წინსვლა დაფიქსირდა საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამავდროულად, არასაკმარისი ნაბიჯები გადაიდგა ავტოპარკის გაახალგაზრდავებისა და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობის კუთხით (ღონისძიება 1.2). უფრო დეტალური რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ქვედა დიაგრამაზე.

<u>დიაგრამა 10</u>



ღონისძიება 1.1 - ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ასს-ები) გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე ეფექტური სისტემის დანერგვა და ამოქმედება

ღონისძიება 1.1-ის ფარგლებში განხორციელდა 5 აქტივობა, რომელთა შორის 3 აქტივობა შესრულდა სრულად, ხოლო 2 - უმეტესწილად. აქტივობები განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- ყველა კატეგორიის ასს-ების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე ეფექტური სისტემის დანერგვის მიზნით მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა დადგენილებები:
    - 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე;
    - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილება „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.
- ყველა ასს-ებისთვის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სრულად ამოქმედებისათვის დაწესდა გარკვეული გარდამავალი პერიოდი და პროცესი გადანაწილდა 2 წელზე.
- დაინერგა ავტომობილების ინსპექტირების ერთიანი ელექტრული სისტემა, სადაც ჩართულია აკრედიტებული ინსპექტირების ყველა ცენტრი.
- 2020 წლის იანვრის მდგომარეობით აკრედიტებულია 41 ტესტირების ცენტრი, 143 ტესტირების ხაზით, მათ შორის 35 – UN-უნივერსალური ხაზი, 6 – HV ხაზი (M2, M3, N2, N3, O3, O4) კატეგორიის ასს-ებისთვის, 99 – LV (M1, M2, N1) და 3 – UN-უნივერსალური მოძრავი ხაზი.
- 2018 წლის განმავლობაში პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გაიარა 138 594 ასს-მ, აქედან ტექნიკურად გამართული აღმოჩნდა 96 011 (69,3 %) ერთეული ასს, ხოლო 42 583 (30,7 %) ერთეული ასს დახარვეზდა.
- 2019 წელს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გაიარა 664 896 ერთეულმა ასს-მ, საიდანაც ტექნიკურად გამართული (პირველად) აღმოჩნდა 381 039 ერთეული ასს.
- 2020 წლის განმავლობაში პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გაიარა 710 378 ერთეულმა ასს-მ, საიდანაც ტექნიკურად გამართული აღმოჩნდა 488 824 ერთეული ასს, დახარვეზდა 219 895 ერთეული ასს, ხოლო გზაზე გადაადგილება აეკრძალა 1 659 ერთეულ ასს-ს.

<u>დიაგრამა 11</u>



- **აქტივობა 1.1.1:** ევროკავშირის კანონმდებლობის სტანდარტების გათვალისწინებით, ასს-ების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ტექნიკური რეგლამენტის მიღება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო დაინტერესებულ უწყებებთან ერთად

განხორციელებული საქმიანობა

- 2017 წლის 1 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №510 დადგენილებით მიღებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“, რითაც შესრულდა აღნიშნული ღონისძიება.
- ზემოაღნიშნულ ტექნიკურ რეგლამენტში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N627 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის და გაეროს შესაბამის რეგულაციებს. კერძოდ, დადგინდა ტექნიკური ხარვეზის სამი კატეგორია (უმნიშვნელო, მნიშვნელოვანი და სახიფათო) და 2020 წლის 1 აპრილის შემდგომ პირველად რეგისტრირებულ ასს-ების მიმართ დაწესდა ემისიებთან დაკავშირებით ევროკავშირის 2014/45/EC დირექტივით გათვალისწინებული სტანდარტი. ამასთან, 2020 წლის 1 აპრილამდე რეგისტრირებული ასს-ის ემისიებთან დაკავშირებით დადგინდა გამკაცრების შესაბამისი ეტაპები.
- ზემოაღნიშნულ ტექნიკურ რეგლამენტში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 სექტემბრის N554 დადგენილებით, რომელითაც კიდევ უფრო მეტად დაიხვეწა ინსპექტირების პროცესი და აღმოიფხვრა ასს-ების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სისტემაში არსებული ხარვეზები.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - მიღებულ იქნა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ეტაპობრივად დაიხვეწა საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების გზით.

ღონისძიება 1.1. ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ასს-ები) გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე ეფექტური სისტემის დანერგვა და ამოქმედება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.1.1.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო დაინტერესებულ უწყებებთან ერთად
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: ევროკავშირის კანონმდებლობის სტანდარტების გათვალისწინებით, ასს-ების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ტექნიკური რეგლამენტის მიღება	**შესრულებული:** ევროკავშირის კანონმდებლობის სტანდარტების გათვალისწინებით მიღებული ასს-ების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ტექნიკური რეგლამენტი

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
შესრულების შეფასება		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

- **აქტივობა 1.1.2:** საკანონმდებლო ცვლილების მომზადება ჯარიმების გაზრდის თაობაზე იმ ასს-ებისთვის, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- 2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (ასკ) 118-ე მუხლში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის თანახმადაც, იმ ასს-ის მართვისათვის, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით დაწესდა 50 ლარის ოდენობის ჯარიმა ნაცვლად მანამდე არსებული 10 ლარისა. ასკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის (იმ ასს-ის სხვა პირისთვის სამართავად გადაცემა/საექსპლუატაციოდ გადაცემა/საექსპლუატაციოდ დაშვება, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება) ადმინისტრაციული სახდელის სახით დაწესებული 100-ლარიანი ჯარიმა ასევე შეიცვალა. ცვლილების შედეგად სახდელის ზომად ფიზიკური პირისთვის

განისაზღვრა 50 ლარის ოდენობის ჯარიმა, ხოლო იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმისთვის – 200 ლარის ოდენობის ჯარიმა.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შესამუშავებლად, რომელიც მიზნად ისახავს ჯარიმების კიდევ უფრო გაზრდას იმ ასს-ებისთვის, რომელთაც არ გაუვლიათ გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება.

აქტივობის შესრულება:
აქტივობა სრულად შესრულდა - გაიზარდა სანქცია იმ ასს-ებისთვის, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება. გრძელდება მუშაობა სანქციების კიდევ უფრო გასაზრდელად.

ღონისძიება 1.1. ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ასს-ები) გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე ეფექტური სისტემის დანერგვა და ამოქმედება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.1.2.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: საკანონმდებლო ცვლილების მომზადება ჯარიმების გაზრდის თაობაზე იმ ასს-ებისთვის, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება	**შესრულებული:** მიღებულია ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჯარიმების გაზრდის თაობაზე იმ ასს-ებისთვის, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.1.3:** გზებზე კონტროლის გამკაცრება იმ ასს-ების მიმართ, რომლებსაც არ აქვთ გავლილი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- გზებზე კონტროლის გამკაცრების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ადმინისტრირება ხორციელდება ეროვნული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ერთ-ერთი კომპონენტის ე. წ. ჭკვიანი კამერების გამოყენების გზით. 2019 წლის იანვრიდან ამოქმედდა ერთობლივი ოპერაციების ცენტრის (2019 წლის დეკემბრიდან „112"-ისა და ერთობლივი ოპერაციების ცენტრის უფლებამონაცვლედ ითვლება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112") ბაზაზე დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს იმ ასს-ების იდენტიფიცირებასა და დაჯარიმებას, რომელთაც არ გაუვლიათ ტექნიკური დათვალიერება. აღნიშნული ინსტრუმენტის ამოქმედება და განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გარემოს დაბინძურების შემცირების თვალსაზრისით. 2021 წლის 21 აპრილის მდგომარეობით, სანომრე ნიშნების დეტექცია ხორციელდება სრულიად საქართველოს მასშტაბით და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქსელში ჩართულია 1764 კამერა. ამასთანავე, ეტაპობრივად ფართოვდება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ლოკაციების არეალი.
- პარალელურად საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომლის დაფარვაც ამ დროისთვის ვერ ან/და შეზღუდულად ხდება ეროვნული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მიერ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ადმინისტრირება დამატებით ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ან პოლიციის ტერიტორიული დეპარტამენტის მოსამსახურეთა მიერ;

აქტივობის შესრულება:
აქტივობა შესრულდა სრულად - ე.წ ჭკვიანი კამერემების გამოყენების მეშვეობით გამკაცრდა გზებზე კონტროლი იმ ასს-ების მიმართ, რომლებსაც არ აქვთ გავლილი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება

ღონისძიება 1.1. ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ასს-ები) გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე ეფექტური სისტემის დანერგვა და ამოქმედება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.1.3.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: გზებზე კონტროლის გამკაცრება იმ ასს-ების მიმართ, რომლებსაც არ აქვთ გავლილი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება	**შესრულებული:** გამკაცრდა გზებზე კონტროლი იმ ასს-ების მიმართ, რომლებსაც არ აქვთ გავლილი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				

შესრულების შეფასება		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

- **აქტივობა 1.1.4:** შესაბამისი საკანონმდებლო/კანონქვემდებარე ცვლილებების მომზადება ტესტირების ცენტრების მიმართ წაყენებული მოთხოვნების გამკაცრების მიზნით

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

განხორციელებული საქმიანობა

- 2017 წლის ნოემბერში შვეიცარიული საკონსულტაციო კომპანია „Societe Generale de Surveillance"-ის (SGS) მიერ (რომელიც კონსულტაციას უწევს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასს-ების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სფეროში თანამედროვე ეფექტური სისტემის დანერგვასა და ამოქმედებას) მომზადდა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის მოთხოვნების განსაზღვრასთან, ასევე, პერსონალის ტექნიკურ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. რეკომენდაციები აკრედიტაციის ცენტრის მიერ დეტალურად განხილული და შეთანხმებული იქნა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. შედეგად, 2017 წლის 1 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №511 დადგენილებით მიღებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ", რითაც შესრულდა აღნიშნული აქტივობა.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც აწესებს სპეციფიკურ მოთხოვნებს ტესტირების ცენტრების მიმართ

ღონისძიება 1.1. ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ასს-ები) გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე ეფექტური სისტემის დანერგვა და ამოქმედება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.1.4.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020

აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: შესაბამისი საკანონმდებლო/კანონქვემდებარე ცვლილებების მომზადება ტესტირების ცენტრების მიმართ წაყენებული მოთხოვნების გამკაცრების მიზნით	**შესრულებული:** დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

- **აქტივობა 1.1.5:** ძველი ამორტიზებული ასს-ების უტილიზაციის კონცეფციის შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრის მიერ მომზადდა „ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც წარდგენილია სამთავრობო უწყებებისთვის განსახილველად და მიმდინარეობს მათი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების პროცესი.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა მეტწილად - მომზადდა ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი

ღონისძიება 1.1. ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ასს-ები) გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე ეფექტური სისტემის დანერგვა და ამოქმედება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.1.5.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	

დაგეგმილი:	**შესრულებული:**
ძველი ამორტიზებული ასს-ების უტილიზაციის კონცეფციის შემუშავება	მომზადებული ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X			
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ღონისძიება 1.2 - ავტოპარკის გაახალგაზრდავების და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობა

ღონისძიება 1.2-ის ფარგლებში განხორციელდა 6 აქტივობა, რომელთა შორის 1 აქტივობა შესრულდა სრულად, 1 - უმეტესწილად, 3 - ნაწილობრივ, ხოლო 1 არ შესრულდა. აქტივობები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- ასს-ების ეკოლოგიურობის კლასების შემოღების მიზნით შემუშავდა „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გაფრქვევების (გამონაბოლქვის) ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრულად დასაშვები ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის სამუშაო ვერსია;
- დედაქალაქში განთავსდა ელექტრომობილების სწრაფდამტენი 38 მოწყობილობა და ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის ფარგლებში ელექტრომობილებისათვის გამოიყო უფასო საპარკირნგე ადგილები;
- შემუშავდა თბილისში ტაქსების მართვის კონცეფცია, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა შესაბამისი ნორმატიული აქტი და ჩატარდა ტაქსების რეფორმის ორი ეტაპი

- **აქტივობა 1.2.1:** ასს-ების ეკოლოგიურობის კლასების შემოღების სამართლებრივი ბაზის შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო

განხორციელებული საქმიანობა

- მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის სამუშაო ვერსია ტექნიკური რეგლამენტის „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან

გაფრქვევების (გამონაბოლქვის) ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრულად დასაშვები ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე. გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამისა (UNEP) და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მხარდაჭერით მიმდინარეობს ხარჯსარგებლიანობის ანალიზი იმ სტანდარტის იდენტიფიცირების მიზნით, რომლის მიხედვითაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტის შეზღუდვა ყველაზე მართებული იქნება ქვეყანაში დღეისათვის არსებული რეალობიდან გამომდინარე. კვლევის შედეგების საფუძველზე საბოლოო სახით ჩამოყალიბდება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

აქტივობის შესრულება:
აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ - ასს-ების ეკოლოგიურობის კლასების შემოღების მიზნით შემუშავდა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი

ღონისძიება 1.2. ავტოპარკის გაახალგაზრდავების და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობა	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.2.1.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: ასს-ების ეკოლოგიურობის კლასების შემოღების სამართლებრივი ბაზის შემუშავება	**შესრულებული:** შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი ასს-ების ეკოლოგიურობის კლასების შემოღების მიზნით

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.2.2:** ასს-ების იმპორტის ეტაპობრივი აკრძალვა ეკოლოგიურობის კლასების მიხედვით

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის პირველი სამუშაო ვერსია ტექნიკური რეგლამენტის „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან

გაფრქვევების (გამონაბოლქვის) ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრულად დასაშვები ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე. გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამისა (UNEP) და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მხარდაჭერით მიმდინარეობს ხარჯსარგებლიანობის ანალიზი იმ სტანდარტის იდენტიფიცირების მიზნით, რომლის მიხედვითაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტის შეზღუდვა ყველაზე მართებული იქნება ქვეყანაში დღეისათვის არსებული რეალობიდან გამომდინარე. კვლევის შედეგების საფუძველზე საბოლოო სახით ჩამოყალიბდება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

აქტივობის შესრულება:
აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ - ასს-ების ეკოლოგიურობის კლასების შემოღების მიზნით შემუშავდა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი

ღონისძიება 1.2. ავტოპარკის გაახალგაზრდავების და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობა	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.2.2.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: ასს-ების იმპორტის ეტაპობრივი აკრძალვა ეკოლოგიურობის კლასების მიხედვით	**შესრულებული:** შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი ასს-ების ეკოლოგიურობის კლასების შემოღების მიზნით

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.2.3:** ელექტრომობილების სწრაფდამტენების ინფრასტრუქტურის მოწყობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- დედაქალაქში, მთლიანობაში, ელექტრომობილების სწრაფდამტენი 38 მოწყობილობა არის განთავსებული. 2021-2022 წლებში დაგეგმილია 200 ერთეული სწრაფდამტენის შესყიდვა. 2021 წელს გამოცხადდება ტენდერი 50 სწრაფდამტენის შესაძენად.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ - თბილისში განთავსდა ელექტრომობილების სწრაფდამტენი 38 მოწყობილობა

ღონისძიება 1.2. ავტოპარკის გაახალგაზრდავების და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობა	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.2.3.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: ელექტრომობილების სწრაფდამტენების ინფრასტრუქტურის მოწყობა	**შესრულებული:** განთავსებული ელექტრომობილების სწრაფდამტენი 38 მოწყობილობა

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.2.4:** ელექტრომობილებისათვის უფასო და სწრაფდამტენებით აღჭურვილ ადგილებში სპეციალური პარკირების უზრუნველყოფა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- ქ. თბილისში ეტაპობრივად ინერგება ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს უფასო პარკირებას ელექტრომობილებისთვის. ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა ამოქმედებულია კოტე აფხაზისა და აბანოს ქუჩების ნაწილზე, ორბელიანის მოედნის მიმდებარედ, ბარათაშვილის გამზირზე, აგრეთვე, 2020 წლის მეორე ნახევრიდან საბურთალოს და ვაკის რაიონების 2 253 საპარკინგე ადგილზე. შესაბამისად, აღნიშნული ლოკაციებზე ჯამში 4687 საპარკინგე ადგილი ელექტრომობილებისთვის ხელმისაწვდომია უფასოდ. დაგეგმილია დამატებით 3 800-მდე საპარკინგე ადგილზე ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის დანერგვა.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა მეტწილად - ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის ფარგლებში ელექტრომობილებისათვის გამოყოფილია 4687 უფასო საპარკირნგე ადგილი

ღონისძიება 1.2. ავტოპარკის გაახალგაზრდავების და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობა	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.2.4.

პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: ელექტრომობილებისათვის უფასო და სწრაფდამტენებით აღჭურვილ ადგილებში სპეციალური პარკირების უზრუნველყოფა	**შესრულებული:** ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის ფარგლებში ელექტრომობილებისათვის გამოყოფილია 4687 უფასო საპარკირნგე ადგილი

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X			
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.2.5:** ძველი ავტომობილების ელექტრომობილებით ჩანაცვლების კონცეფციის მომზადება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

აღნიშნული აქტივობის განსახორციელებლად, სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან შიგაწვისძრავიანი ავტომობილების ნაცვლად ელექტომობილების შეძენის სტიმულირება (შიგაწვისძრავიანი ავტომობილების და ელექტომობილების ფასებში ჯერ-ჯერობით არსებული საკმაოდ დიდი სხვაობის გამო), ფინანსური მხარდაჭერის (თანადაფინანსების) და სხვა მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელების გზით. ამ ეტაპზე, მათ შორის პანდემიით გამოწვეული რთული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობის შესრულებისათვის საკმარისი რესურსის მობილიზება ვერ ხერხდება.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა არ შესრულდა - არ მომზადებულა ძველი ავტომობილების ელექტრომობილებით ჩანაცვლების კონცეფცია

ღონისძიება 1.2. ავტოპარკის გაახალგაზრდავების და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობა	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.2.5.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	

დაგეგმილი:	**შესრულებული:**
ძველი ავტომობილების ელექტრომობილებით ჩანაცვლების კონცეფციის მომზადება	არ შესრულდა

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X	
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი			X		

- **აქტივობა 1.2.6:** ტაქსების მართვის კონცეფციის შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- შემუშავდა ტაქსების მართვის კონცეფცია, რომლის საფუძველზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილება „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“. თბილისის ტაქსის რეფორმის პირველი ეტაპი 2018 წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში, რაც ნებართვის აღებისა და რეგისტრაციის ვალდებულებებს ითვალისწინებდა. დედაქალაქში ტაქსის რეფორმის მეორე ეტაპი 2019 წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში, რაც გულისხმობს ტაქსებისათვის შესაბამისი ვიზუალური სტანდარტების ამოქმედებას. დანერგილი ელემენტების ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა ტაქსების მართვის განახლებული კონცეფცია და ამჟამად, მიმდინარეობს სამომავლო ღონისძიებების განსაზღვრაზე მუშაობა.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - შემუშავდა თბილისში ტაქსების მართვის კონცეფცია, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა შესაბამისი ნორმატიული აქტი და ჩატარდა ტაქსების რეფორმის ორი ეტაპი

ღონისძიება 1.2. ავტოპარკის გაახალგაზრდავების და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობა	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.2.6.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი:	**შესრულებული:**
ტაქსების მართვის კონცეფციის შემუშავება	შემუშავებული ტაქსების მართვის კონცეფცია და მის საფუძველზე მიღებული შესაბამისი

	ნორმატიული აქტი და ჩატარებული ტაქსების რეფორმის ორი ეტაპი

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ღონისძიება 1.3 - საავტომობილო საწვავის ხარისხის გაუმჯობესება

ღონისძიება 1.3-ის ფარგლებში განხორციელდა 2 აქტივობა, რომელთა შორის 1 აქტივობა სრულად, 1 კი უმეტესწილად შესრულდა. აქტივობები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ. ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- დიზელის საწვავის ხარისხი ე.წ. ევრო 4-ის სტანდარტს გაუტოლდა, ხოლო 2022 წლის 1 იანვრიდან იგი ევრო 5 ნორმას გაუტოლდება. აგრეთვე, დიზელისა და ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს ახალი პარამეტრები დაემატა და იგი მაქსიმალურად დაუახლოვდა ევროდირექტივებით განსაზღვრული პარამეტრების ნუსხას;
- მნიშვნელოვნად გამკაცრდა სანქციები საავტომობილო საწვავის ხარისხის დადგენილი ნორმების დარღვევებისთვის;
- განხორციელდა საავტომობილო საწვავის ხარისხის რეგულარული კონტროლი, რომლის ფარგლებშიც 2017-2020 წლებში აღებულ იქნა 900-მდე სინჯი.

- **აქტივობა 1.3.1:** დიზელის საწვავის ხარისხობრივი ნორმების ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოვება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- ეტაპობრივად მიმდინარეობს დიზელის საწვავის ხარისხის გაუმჯობესება. კერძოდ, „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის N238 დადგენილებაში განხორციელდა ცვლილებები, რომლის მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან დიზელის საწვავში გოგირდის შემცველობა 2-ჯერ შემცირდა და ე.წ. ევრო 4-ის სტანდარტს გაუტოლდა, ხოლო 2022 წლის 1 იანვრიდან დიზელის საწვავის დადგენილებით განსაზღვრული ყველა კომპონენტი ევრო 5 ნორმას გაუტოლდება.
- დიზელის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის N238 დადგენილებაში 2021 წლის 21 იანვარს განხორციელდა ცვლილებები, რომლის მიხედვით დიზელის ხარისხობრივ ნორმებს ახალი პარამეტრები დაემატა და იგი მაქსიმალურად დაუახლოვდა ევროდირექტივით განსაზღვრული პარამეტრების ნუსხას. აღნიშნული გააუმჯობესებს

წვის პროცესს ასს-ებში და შეამცირებს ატმოსფერულ ჰაერში აზოტის დიოქსიდისა და მყარი ნაწილაკების გაფრქვევებს.

- დიზელის ხარისხის გაუმჯობესების პარალელურად, გაუმჯობესდა ბენზინის ხარისხის სტანდარტიც. კერძოდ, ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს ახალი პარამეტრები დაემატა და ეროვნულ დონეზე განისაზღვრა ყველა ის კომპონენტი, რომელსაც მოიცავს შესაბამისი ევროდირექტივა. აღნიშნული გააუმჯობესებს წვის პროცესს ბენზინზე მომუშავე ასს-ებში და შეამცირებს ატმოსფერულ ჰაერში აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის გაფრქვევებს.
- საავტომობილო საწვავის ხარისხის დადგენილი ნორმების დარღვევებისთვის სანქციების მნიშვნელოვნად გაზრდის მიზნით 2020 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლითაც რამდენჯერმე გაიზარდა დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა სხვადასხვა კატეგორიის დარღვევებზე. აგრეთვე, ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში და კოდექსს დაემატა 198[1] მუხლი „საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების დარღვევა", რომლითაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გავრცელდა საწვავის ხარისხის ნორმების განმეორებითი დარღვევისთვის. კერძოდ, ნორმებთან შეუსაბამო საწვავის იმპორტის, წარმოებისა და მიწოდებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული ან/და ნასამართლევი პირის მიერ იმავე დანაშაულის ჩადენა ისჯება ჯარიმით, გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ხოლო იურიდიული პირის მიერ - ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა მეტწილად - დიზელის საწვავის ხარისხი ე.წ. ევრო 4-ის სტანდარტს გაუტოლდა, ხოლო 2022 წლის 1 იანვრიდან იგი ევრო 5 ნორმას გაუტოლდება.

ღონისძიება 1.3. საავტომობილო საწვავის ხარისხის გაუმჯობესება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.3.1.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: დიზელის საწვავის ხარისხობრივი ნორმების ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოვება	**შესრულებული:** ევრო 4-ის სტანდარტის შესაბამისი დიზელის საწვავის ხარისხი, რომელიც ევრო 5 ნორმას 2022 წლის 1 იანვრიდან გაუტოლდება

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X			
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.3.2:** საავტომობილო საწვავის ხარისხის რეგულარული კონტროლი ნავთობპროდუქტების საცავებში, რეალიზაციის საცალო და საბითუმო პუნქტებში

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

განხორციელებული საქმიანობა

- სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2017 წელს საავტომობილო საწვავის (ბენზინი და დიზელი) ხარისხის შემოწმება განხორციელდა 22 ავტოგასამართ სადგურზე, ხოლო 2018 წელს საავტომობილო საწვავის 250-ზე მეტი ნიმუშის აღება განხორციელდა 143 ბენზინგასამართი სადგურიდან. 2018 წელს ფართომასშტაბიანი კონტროლი განხორციელდა საავტომობილო ბენზინში ტყვიის შემცველობის დადგენის მიზნით. კერძოდ, ზემოაღნიშნული სინჯების უდიდესი ნაწილი (240 სინჯი), მათში ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით, საანალიზოდ გადაიგზავნა საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე შპს ,,სჯს ჯორჯია"-ს კუთვნილ 2 ლაბორატორიაში. ჩატარებული კვლევის შედეგად არცერთ საანალიზო ნიმუშში ტყვიის შემცველობა არ დაფიქსირებულა.
- 2019 წელს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში არსებული, შერჩევითი წესით განსაზღვრული სადგურებიდან ორ ეტაპად აღებულ იქნა სხვადასხვა მარკის საავტომობილო დიზელის 270 სინჯი, რომელიც ლაბორატორიული კვლევისათვის გადაეცა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. კერძოდ, ივლისში 88 ავტოგასამართი სადგურიდან აღებული იქნა 120 სინჯი, ხოლო დეკემბერში 100 ავტოგასამართი სადგურიდან აღებული იქნა 150 სინჯი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი დიზელის საწვავის 64 ნიმუშში გოგირდის შემცველობა ვერ აკმაყოფილებდა დადგენილ ნორმებს. ვინაიდან, ფაქტები შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალები გადაიგზავნა შესაბამის საგამოძიებო ორგანოში.
- 2020 წლის აპრილში როგორც თბილისის, ასევე რეგიონების მასშტაბით განხორციელდა 92 ერთეული საწვავის სინჯის აღება (მათ შორის, 49 ერთეული საავტომობილო ბენზინის და 43 ერთეული დიზელის საწვავის სინჯი). საავტომობილო ბენზინის 18 სინჯში დაფიქსირებული ოქტანური რიცხვის მაჩვენებელი არ შეესაბამებოდა დადგენილ ნორმას, ხოლო ტყვიისა და გოგირდის შემცველობა ყველა ნიმუშში შესაბამისობაში იყო განსაზღვრულ ნორმასთან. დიზელის საწვავის 14 სინჯში გოგირდის შემცველობა არ აკმაყოფილებდა დადგენილ ახალ ნორმებს, ხოლო 1 ნიმუშში გოგირდთან ერთად სიმკვრივის მაჩვენებელიც აჭარბებდა დადგენილ ნორმას. საავტომობილო ბენზინის ნიმუშებში ოქტანური რიცხვის მნიშვნელობის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ნორმასთან შეუსაბამობის გამო, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ 17 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 91^3-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე და შესაბამისი სასამართლოს მიერ დაკისრებული იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული სანქცია. ამასთან, დიზელის ნიმუშებში გოგირდის შემცველობის გადამეტების გამო, დეპარტამენტის ხელთ არსებული მასალები, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შესაძლო არსებობის გამო, გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

- 2020 წლის მაისში, ქვეყნის მასშტაბით, 251 ავტოგასამართი სადგურიდან აღებული იქნა 252 ერთეული რეგულარის მარკის ბენზინის საწვავის სინჯი. წარმოდგენილი ლაბორატორიული დასკვნების საფუძველზე, ტყვიისა და გოგირდის შემცველობის დარღვევა არცერთ ნიმუშში არ დაფიქსირდა, ხოლო ოქტანური რიცხვის მაჩვენებელი მხოლოდ 1 ნიმუშში არ შეესაბამებოდა რეგულარის მარკისათვის გათვალისწინებულ მნიშვნელობას (არანაკლებ 91), რის გამოც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და შესაბამისი სასამართლოს მიერ დაკისრებული იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული სანქცია.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - საავტომობილო საწვავის ხარისხის რეგულარული კონტროლის ფარგლებში 2017-2020 წლებში აღებულ იქნა 900-მდე სინჯი

ღონისძიება 1.3. საავტომობილო საწვავის ხარისხის გაუმჯობესება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.3.2.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: საავტომობილო საწვავის ხარისხის რეგულარული კონტროლი ნავთობპროდუქტების საცავებში, რეალიზაციის საცალო და საბითუმო პუნქტებში	**შესრულებული:** საავტომობილო საწვავის ხარისხის რეგულარული კონტროლის ფარგლებში აღებული 900-მდე სინჯი

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ღონისძიება 1.4 - საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია

ღონისძიება 1.4-ის ფარგლებში განხორციელდა 3 აქტივობა, რომელთა შორის 1 აქტივობა შესრულდა სრულად, 2 კი - ნაწილობრივ. აქტივობები განხორციელდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- გაიხსნა მეტროს ახალი, 23-ე სადგური;
- განახლდა დედაქალაქის ავტობუსების პარკი ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტით;

- განისაზღვრა საჰაერო ტრანპორტის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და მიმდინარეობს მიწისზედა ელექტროტრანსპორტის განვითარების პოტენციალის შეფასება.

- **აქტივობა 1.4.1:** ავტობუსების პარკის განახლება და ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტექნოლოგიებზე გადასვლა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- მიმდინარეობს თბილისის ავტობუსის პარკის ჩანაცვლების პროცესი თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებით, რის შედეგადაც, ქალაქს შეემატა 454 ერთეული ახალი ევრო 6 ემისიის სტანდარტის ავტობუსი. ასევე, ორ ეტაპად შეძენილ იქნა 226 ერთეული 12-მეტრიანი, კომპრესირებულ ბუნებრივ გაზზე (CNG) მომუშავე ავტობუსი, რომელთაგან 126 ერთეული უკვე შეემატა ქალაქს, ხოლო 100 ერთეული შეემატება 2021 წლიდან. გარდა ამისა, დაგეგმილია დამატებით 200 ერთეული (მათ შორის 20 ავტობუსი თბილისი-რუსთავის მარშრუტზე) 18-მეტრიანი და 180 ერთეული 8-მეტრიანი ავტობუსების შეძენა. ამასთან, შეძენილია და ახალი სამარშრუტო სქემის შესაბამისად თბილისში ოპერირებს დიზელის ძრავაზე მომუშავე, ევრო 5 ემისიის 300 ერთეული ახალი მიკროავტობუსი. დამატებით, დაგეგმილია 700 ერთეული ახალი მიკროვატობუსის შეძენა 2021 წლის ბოლომდე.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - განახლდა ავტობუსების პარკი ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტით

ღონისძიება 1.4. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.4.1.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: ავტობუსების პარკის განახლება და ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტექნოლოგიებზე გადასვლა	**შესრულებული:** ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტით განახლებული ავტობუსების პარკი

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.4.2:** მიწისზედა ელექტროტრანსპორტის ტრამვაის განვითარების კონცეფციის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია რამბოლი (Ramboll), აზიის განვითარების ბანკის (ADB) ფინანსური მხარდაჭერით, მუშაობს თბილისის მდგრადი ურბანული მობილობის გეგმაზე (SUMP), რომელიც განსაზღვრავს დედაქალაქში მობილობის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. SUMP-ის შემუშავების პროცესი მოიცავს მიწისზედა ელექტროტრანსპორტის განვითარების პოტენციალის შეფასებასა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას. SUMP-ზე მუშაობის დასრულება დაგეგმილია 2021 წლის ზაფხულში.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ - მიმდინარეობს მიწისზედა ელექტროტრანსპორტის განვითარების პოტენციალის შეფასება

ღონისძიება 1.4. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.4.2.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: მიწისზედა ელექტროტრანსპორტის ტრამვაის განვითარების კონცეფციის შემუშავება	**შესრულებული:** მიმდინარეობს მიწისზედა ელექტროტრანსპორტის განვითარების პოტენციალის შეფასება

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.4.3:** საბაგირო ხაზების მშენებლობა

პასუხისმგებელი უწყება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკის“ მიერ 2019 წელს მომზადებული „სამგორი-ვაზისუბნის, ახმეტელი-თემქისა და სამება-მახათას მთის საჰაერო სატრანსპორტო ღერძების ქალაქგეგმარებითი (სივრცითი) განვითარების ალტერნატიული ხედვის დამუშავებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების“ საფუძველზე, დაიგეგმა სამგორი-ვაზისუბნის და სარაჯიშვილი-ზღვისუბნის საბაგირო ხაზების მშენებლობა საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით. 2020 წლის მეორე ნახევარში, AFD-სთან თანამშრომლობით, მომზადდა სამგორი-ვაზისუბნის და სარაჯიშვილი-ზღვისუბნის პროექტებისთვის მოსამზადებელი კვლევების ტექნიკური

დავალებები და გამოვლინდა კვლევების შემსრულებელი საკონსულტაციო კომპანია, სისტრა. აღნიშნული კომპანია 2021 წლის ბოლომდე მოამზადებს შესაბამის ტექნიკურ და სატენდერო დოკუმენტაციას პროექტის შემდგომი განვითარებისა და პროექტირება-მშენებლობის მომსახურების შესყიდვის მიზნით.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ - განისაზღვრა საჰაერო ტრანსპორტის განვითარების ორი პრიორიტეტული მიმართულება და მომზადდა სამგორი-ვაზისუბნის და სარაჯიშვილი-ზღვისუბნის პროექტებისთვის საჭირო კვლევების ტექნიკური დავალებები

ღონისძიება 1.4. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.4.3.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: საბაგირო ხაზების მშენებლობა	**შესრულებული:** განსაზღვრული საბაგირო ხაზების განვითარების ორი პრიორიტეტული მიმართულება და შესაბამისი კვლევებისთვის მომზადებული ტექნიკური დავალებები

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ღონისძიება 1.5 - საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესება

ღონისძიება 1.5-ის ფარგლებში განხორციელდა 5 აქტივობა, რომელთა შორის 2 აქტივობა შესრულდა სრულად, 2 - უმეტესწილად, 1 კი - ნაწილობრივ შესრულდა. აქტივობები განხორციელდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- 2017 წელს ქ. თბილისში კაპიტალურად შეკეთდა - 614 593.57 $მ^2$ ფართის გზის საფარი, ხოლო ორმოული შეკეთების სამუშაოები ჩატარდა – 191 062.08 $მ^2$ ფართობზე; 2018 წელს კაპიტალუად შეკეთდა - 680 552.19 $მ^2$, ორმოულად - 176 601.9 $მ^2$; 2019 წელს კაპიტალურად - 764 287.15 $მ^2$; ორმოულად- 134 654.65 $მ^2$; 2020 წელს კი კაპიტალურად - 278 171.57 $მ^2$; ორმოულად კი - 154 969.95 $მ^2$. სულ 2017-2020 წლებში ქალაქის მასშტაბით კაპიტალურად შეკეთდა 2 337 605 $მ^2$ გზის საფარი, ხოლო ორმოულად შეკეთდა 657 288 $მ^2$ ფართის გზის საფარი.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლები მოეწყო ჯამში 26 კმ სიგრძეზე თბილისის 16 ცენტრალურ ქუჩაზე, მიმდინარეობს ავტობუსებისა და მიკროავტობუსებისათვის ახალი იერარქიული სამარშრუტო ქსელის შემუშავება;

- 2017-2020 წლებში თბილისში ჩატარებული სარეაბილიტაციო პროექტების ფარგლებში გაუმჯობესდა ფეხით მოსიარულეთა სავალი გზები 18 კმ-ზე და მოეწყო ველო-ბილიკები 19 კმ-ზე;
- სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით თბილისში დაინერგა საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზებული სისტემა, ქალაქში შუქნიშნების რაოდენობა გაიზარდა 109 ერთეულით;
- თბილისის 63 ქუჩაზე (ლოკაციაზე) ამოქმედდა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა.

- **აქტივობა 1.5.1:** საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლების მოწყობა და მარშრუტების დაგეგმვა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- 2017 წელს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლი მოეწყო პეკინისა და კოსტავას ქუჩებზე.
- 2018 წლისთვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლები (ე.წ ბასლეინები) შემდეგ ცენტრალურ ქუჩებზე მოეწყო: კოსტავა - შარტავას გამზირები, კალანდაძის ქუჩა, რობაქიძის გამზირი და ბარათაშვილის აღმართი.
- 2020 წელს თბილისში მოეწყო დაახლოებით 12 კმ ავტობუსების სპეციალური სავალი ზოლი, მათ შორის ჭავჭავაძის გამზირზე.
- ჯამში მოეწყო 26 კმ სიგრძის ავტობუსის სპეციალური სავალი ზოლი შემდეგ ქუჩებზე: იონა ვაკელის ქუჩა, ანა კალანდაძის ქუჩა, სიმონ კანდელაკის ქუჩა, ჟიული შარტავას ქუჩა, პეკინის გამზირი, მერაბ კოსტავას ქუჩა (სპორტის სასახლე), ნიკოლოზ ბარათაშვილის აღმართი, გრიგოლ რობაქიძის ქუჩა, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა, ილია ჭავჭავაძის გამზირი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა, პეკინის გამზირი + კოსტავას ქუჩა (ჰოლიდეინი-დან გმირთა მოედნამდე), კოსტავას გამზირი (გმირთა მოედნიდან მიროტაძის ქუჩის შესახვევამდე), მერაბ კოსტავას ქუჩა (ფილარმონიასთან), ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა, დავით ალექსიძის ქუჩა, ილია ვეკუას ქუჩა, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა.
- ამასთან, მომზადდა ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც 5 კმ-ის მანძილზე ითვალისწინებს ავტობუსების ორმხრივი სპეციალური სავალი ზოლების მოწყობას. პროექტის განხორციელება დაგეგმილია 2021 წელს.
- 2020 წელს დასრულდა კვლევა - „ავტობუსის ქსელის რესტრუქტურიზაცია და მგზავრობის ავტომატიზირებული გადახდის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა“. კვლევის ფარგლებში, განისაზღვრა ავტობუსებისა და მიკროავტობუსებისათვის ახალი იერარქიული სამარშრუტო ქსელი, რომელიც აერთიანებს სწრაფ ტრანზიტულ (TBT), საქალაქო და საუბნო სამარშრუტო (ხაზებს) დერეფნებს.
- კვლევით შემოთავაზებული ახალი ქსელის იმპლემენტაცია ეტაპობრივად განხორციელდება. ამ მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით, დაიგეგმა ქსელის იმპლემენტაციაში ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციაზე მუშაობა დასრულდა და EBRD-ის შესყიდვების პორტალზე, ტენდერი გამოცხადდა 2020 წლის IV კვარტალში. ამჟამად, მიმდინარეობს მონაწილეთა ტექნიკური წინადადებების შეფასების პროცედურა.

აქტივობის შესრულება:
აქტივობა შესრულდა მეტწილად - ჯამში 26 კმ სიგრძის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლები მოეწყო თბილისის 16 ქუჩაზე, მიმდინარეობს ავტობუსებისა და მიკროავტობუსებისათვის ახალი იერარქიული სამარშრუტო ქსელის შემუშავება

ღონისძიება 1.5. საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.5.1.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლების მოწყობა და მარშრუტების დაგეგმვა	**შესრულებული:** მოწყობილი 26 კმ სიგრძის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლები თბილისის 16 ქუჩაზე; მიმდინარეობს ავტობუსებისა და მიკროავტობუსებისათვის ახალი იერარქიული სამარშრუტო ქსელის შემუშავება

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X			
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.5.2:** ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედისტთა სავალი გზების განვითარება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- 2017 წლის განმავლობაში ქვეითთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით ქვეითთა გადასასვლელები მოეწყო შემდეგ ადგილებში: დემეტრე თავდადებულის N2 და N8-თან, რომელაშვილის ქუჩის დასაწყისში, ნონეშვილის ქ. N13-თან და N16-თან, ვარკეთილი-3 მე-4 მ/რ 424 კორპუსის მიმდებარედ, თაყაიშვილის ქუჩის N18, N25, N32, N54, პოლიციის შენობის და მაღაზია „ეკონო მიქსი“-ს მიმდებარედ. ველო-ბილიკები მოეწყო შემდეგ ობიექტებზე:
    - 1. ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 970 გრძ/მ.
    - 2. მირიან მეფის ქუჩა 1275 გრძ/მ.
    - 3. პეტრე იბერის ქუჩა - 960 გრძ/მ.
    - 4. ფარნავაზ მეფის ქუჩა - 1800 გრძ/მ.
- 2018 წელს 3500 კვ. მეტრზე შარტავასა და კოსტავას გამზირებზე მოეწყო ველობილიკები, ამავე მონაკვეთში სრულად გაუმჯობესდა საქვეითე ინფრასტრუქტურა და მოეწყო ადაპტირებული ჩამოსასვლელები შშმ პირებისთვის. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქში არსებულ 10 ხიდს.

- 2020 წლის პირველ ნახევარში დასრულდა ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაცია, სადაც გაუმჯობესდა ქვეითთა სავალი გზები და გამოიყო ველობილიკები. ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბაგების საფეხმავლო ხიდს.
- 2020 წელს ჯამში 17 კმ სიგრძის ველობილიკები დაემატა შემდეგ ლოკაციებზე: ილია ჭავჭავაძის გამზირი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა, პეკინის გამზირი + კოსტავას ქუჩა (ჰოლიდეინი-დან გმირთა მოედნამდე, 26 მაისის მოედანი), მერაბ კოსტავას ქუჩა (ფილარმონიასთან), ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა, ილია ვეკუას ქუჩა, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა და მარჯვენა სანაპირო.
- ფეხით მოსიარულეთა სავალი გზები 2017-2020 წლებში ჯამში გაუმჯობესდა დაახლოებით 18 კმ სიგრძეზე, ხოლო ველობილიკები მოეწყო 19 კმ სიგრძეზე.
- ამასთან, 5 კმ მანძილზე ველოსიპედისთვის სავალი გზის მოწყობა გათვალისწინებულია ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, რომლის განხორციელებაც 2021 წელს არის დაგეგმილი.

აქტივობის შესრულება:
აქტივობა შესრულდა სრულად - თბილისში ჩატარებული სარეაბილიტაციო პროექტების ფარგლებში გაუმჯობესდა ფეხით მოსიარულეთა სავალი გზები 18 კმ-ზე და მოეწყო ველო-ბილიკები 19 კმ-ზე

ღონისძიება 1.5. საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.5.2.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედისტთა სავალი გზების განვითარება	**შესრულებული:** გაუმჯობესებული ფეხით მოსიარულეთა სავალი გზები 18 კმ-ზე და მოწყობილი ველო-ბილიკები 19 კმ-ზე

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.5.3:** სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაცია, მათ შორის შუქნიშნების მართვის სისტემის გაფართოება და მოდერნიზაცია

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით დედაქალაქში აშენდა საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სატრანსპორტო ნაკადების პარამეტრების ინფორმაციის შეგროვებას,

დამუშავებასა და მათ საფუძველზე მოძრაობის ოპტიმალური რეჟიმებით ნაკადების რეგულირებას. ავტომატიზებულ სისტემასთან მიერთებული შუქნიშნებით შესაძლებელია ავტომატურად ვმართოთ საგზაო მოძრაობა. შუქნიშნის მუშაობის მახასიათებლების ავტომატური ცვლილება საშუალებას იძლევა მაქსიმალურად შემცირდეს დაყოვნება გზაჯვარედინებზე.

- 2017 წლის განმავლობაში დედაქალაქში დამონტაჟდა შუქნიშნის 14 ობიექტი, 7 ობიექტს ჩაუტარდა სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. ყველა ეს ობიექტი მიერთებულია საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზებულ სისტემასთან.
- საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესების მიზნით 2018 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში:
    - განხორციელდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოწკინტები, ზღუდარები, ბარიერები, ასს-ების მოძრაობის წინასწარი მაჩვენებლები და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი, მოვლა-შენახვისა და საექსპლუატაციო სამუშაოები. დამონტაჟდა 870 ახალი საგზაო ნიშანი.
    - განხორციელდა დედაქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემის მოვლა-შენახვა და ექსპლუატაციის სამუშაოები. კერძოდ: შეიცვალა შუქნიშნის 50 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 63 ობიექტზე. დამონტაჟდა 42 სატრანსპორტო შუქნიშანი, დემონტაჟი გაუკეთდა და დასაწყობდა შუქნიშნის 3 ცალი წამზომი, დამონტაჟდა მზის ენერგიაზე მომუშავე 5 ცალი შუქნიშანი.
    - დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე ერთკომპონენტიანი საღებავით დატანილ იქნა 38 772 $მ^2$ ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა.
    - განხორციელდა საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის ვიდეო კედლის დაზიანებული ნაწილების შეცვლა ახლით.
    - გამოკვლეული იქნა, შუქნიშნის მუშაობის რეჟიმის საგზაო მოძრაობის მონაწილეთა არსებულ ნაკადებთან შესაბამისობა. ასევე, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა ნაკადები შუქნიშნის 20 ობიექტზე და 26 გზაჯვარედინზე.
- 2019 წლის I და II კვარტალში დამონტაჟდა 10 ახალი შუქნიშნის ობიექტი, განხორციელდა 5 არსებული ობიექტის რეკონსტრუქცია და მართვის ცენტრთან მიერთების სამუშაოები. საგზაო მოძრაობის ეფექტური ორგანიზების მიზნით დედაქალაქის ქუჩებზე და მაგისტრალებზე უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადების გამოკვლევა, რის შედეგადაც მუშავდება მოძრაობის ორგანიზების ახალი სქემები. 2019 წლის I და II კვარტალში დამუშავდა კანდელაკის ქუჩის, მელიქიშვილის გამზირისა და სარაჯიშვილის ქუჩის (ვაშლიჯვრის ესტაკადა) საგზაო მოძრაობის ორგანიზების ახალი სქემები, რომელთა მიხედვითაც აღნიშნულ ქუჩებზე ძირეულად იცვლება მოძრაობის მიმართულებები როგორც სპეციალური ზოლების კუთხით სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის, ისე საერთო ნაკადის შემხვედრი მიმართულებების კუთხით.
- 2019 წლის მეორე ნახევარში ქალაქში დამონტაჟდა 25 ახალი შუქნიშანი.

- საგზაო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის მიმართულებით იგეგმება შუქნიშნით რეგულირებული კვანძების რაოდენობის გაზრდა და შესაძლებლობისამებრ, მათი მართვის ცენტრთან დაკავშირება. 2020 წლის პირველ ნახევარში მათი რაოდენობა 7-ით გაიზარდა და იგეგმება დამატებით 39-ით გაზრდა.
- ჯამში 2017-2020 წლებში ქ. თბილისში შუქნიშნების რაოდენობა გაიზარდა 109 ერთეულით, 240-დან 349-მდე.
- 2020 წელს დასრულდა წინასწარი მიზანშეწონილობის კვლევა „მდგრადი ტრანსპორტი თბილისისთვის“, რომლის ფარგლებშიც საკონსულტაციო კომპანია გოპამ (GOPA.infra) შეაფასა თბილისში გონიერი სატრანსპორტო სისტემის (ITS) დანერგვის პოტენციალი. ITS უზრუნველყოფს სატრანსპორტო ნაკადების რეალურ დროში მართვას და შესაბამისად, საგზაო მოძრაობის ოპტიმიზაციას (საზ. ტრანსპორტის პრიორიტეტი შუქნიშნებზე, ინციდენტებზე დროული რეაგირება და სხვ.). კვლევის შედეგების შესაბამისად, გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით, იგეგმება სისტემის შესყიდვა და თბილისის მასშტაბით დანერგვა. მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია საკონსულტაციო მომსახურების მიზნით ITS-ის შესყიდვისა და დანერგვის ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით.

აქტივობის შესრულება:
აქტივობა შესრულდა უმეტესწილად - სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით თბილისში დაინერგა საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზებული სისტემა, ქალაქში შუქნიშნების რაოდენობა 109-ით გაიზარდა მიმდინარეობს მუშაობა გონიერი სატრანსპორტო სისტემის (ITS) დასანერგად.

ღონისძიება 1.5. საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.5.3.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაცია, მათ შორის შუქნიშნების მართვის სისტემის გაფართოება და მოდერნიზაცია	**შესრულებული:** სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით თბილისში დანერგილი საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზებული სისტემა, ქალაქში შუქნიშნების 109 ერთეულით გაზრდილი რაოდენობა, მიმდინარეობს მუშაობა გონიერი სატრანსპორტო სისტემის (ITS) დასანერგად.

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X			
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.5.4:** პარკირების საფასურის საათობრივი გადახდის კონცეფციის შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- თბილისში დანერგილია და ფუნქციონირებს ზონალური პარკირების სისტემა.
- 2019 წლის 1 აგვისტოდან დედაქალაქში ამოქმედდა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის საპილოტე რეჟიმი, რომელიც პარკირების საათობრივი გადასახადის შემოღებას ითვალისწინებს. ახალი პარკირების სისტემა საპილოტე რეჟიმში კოტე აფხაზისა და აბანოს ქუჩების ნაწილზე, ასევე, ორბელიანის მოედნის მიმდებარედ ამუშავდა.
- 2020 წლის მარტში ბარათაშვილის გამზირი გადავიდა პარკირების ზონალურ-საათობრივ სისტემაზე, ხოლო წლის მეორე ნახევრიდან სისტემას დაემატა 2 253 საპარკინგე ადგილი საბურთალოს და ვაკის რაიონებში.
- ჯამში ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა ამოქმედდა 63 ქუჩაზე (ლოკაციაზე) და მოიცვა 4687 საპარკინგე ადგილი.
- ასევე, დაიგეგმა დამატებით 3 800-მდე საპარკინგე ადგილის დამატება პოლიტკოვსკაიას ქუჩის, ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის გამზირების, და მარჯანიშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიებზე.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - თბილისის 63 ქუჩაზე (ლოკაციაზე) ამოქმედდა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა

ღონისძიება 1.5. საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.5.4.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: პარკირების საფასურის საათობრივი გადახდის კონცეფციის შემუშავება	**შესრულებული:** თბილისის 63 ქუჩაზე (ლოკაციაზე) ამოქმედებული ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 1.5.5:** თბილისის ტერიტორიაზე ჰაერის მაღალი დაბინძურების ზონების გამოყოფა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება აღნიშნულ ზონებში დაბინძურების დონის შესამცირებლად

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- 2020 წელს დასრულდა წინასწარი მიზანშეწონილობის კვლევა „მდგრადი ტრანსპორტი თბილისისთვის“, რომლის ფარგლებშიც საკონსულტაციო კომპანია გოპამ (GOPA.infra) შეაფასა თბილისში გონიერი სატრანსპორტო სისტემის (ITS) დანერგვის პოტენციალი. ITS-ის დანერგვითა და ქალაქის ძირითად ქუჩებსა და კვანძებზე მისი ინტეგრაციით შესაძლებელი იქნება თბილისში ჰაერის დაბინძურების მინიმუმ 20%-ით შემცირება. ამ ეტაპზე, KfW-ის მხარდაჭერით, მიმდინარეობს სისტემის შესყიდვისა და იმპლემენტაციისათვის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა.
- ასევე, ქალაქ ზაარბრიუკენის და თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის შედეგად 2021 წლის გაზაფხულზე იგეგმება ინტეგრირებული ექსპერტის ჩამოყვანა, რომელიც იმუშავებს მდგრადი ურბანული მობილობის ღონისძიებების განსაზღვრაზე, მათ შორის ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად. KfW-სთან თანამშრომლობით, მომზადდა შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია აღნიშნული ინტეგრირებული ექსპერტის მომსახურების შესყიდვის მიზნით.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ - მიმდინარეობს მუშაობა გონიერი სატრანსპორტო სისტემის (ITS) დასანერგად, რომელიც შესაძლებელს გახდის თბილისში ჰაერის დაბინძურების მინიმუმ 20%-ით შემცირებას.

ღონისძიება 1.5. საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 1.5.5.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: თბილისის ტერიტორიაზე ჰაერის მაღალი დაბინძურების ზონების გამოყოფა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება აღნიშნულ ზონებში დაბინძურების დონის შესამცირებლად	**შესრულებული:** მიმდინარეობს მუშაობა გონიერი სატრანსპორტო სისტემის (ITS) დასანერგად, რომელიც შესაძლებელს გახდის თბილისში ჰაერის დაბინძურების მინიმუმ 20%-ით შემცირებას

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		

შესრულების შეფასება		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

მიმართულება 2 - სამშენებლო სექტორი

მიმართულება 2-ის ის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო 2 ღონისძიება, რომელთა შორის 1 ღონისძიება შესრულდა სრულად, ხოლო 1 არ შესრულდა. ღონისძიება განხორციელდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ღონისძიებები ორიენტირებული იყო სამშენებლო სექტორიდან, რომელიც არის ურბანული ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი წყარო, ატმოსფერულ ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირებაზე და ამ გზით დედაქალაქში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მიმართულება 2-ის ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგი:

- გამკაცრდა სანქციები და ზედამხედველობა თბილისში მშენებლობის ან სამშენებლო მასალების გადაზიდვის პროცესში გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულებაზე. შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევისთბის შედგა 833 საჯარიმო ქვითარი.

ღონისძიება 2.1 - მშენებლობის პროცესში „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობის გამკაცრება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ უსაფრთხოების კონტროლი ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-სა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით “განსაზღვრული პირობებით.
- 2018 წლის 7 მარტს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ და კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ პუნქტით, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის გამკაცრდა საჯარიმო სანქციები. ამასთან, ქ. თბილისის ტერიტორიაზე, 2019 წლის 3 დეკემბრიდან, I-IV კლასების ობიექტების მიმართ ვრცელდება, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის, მუნიციპალური ინსპექცია წარმოებას იწყებდა ზემოაღნიშნული კოდექსის ამოქმედებამდე. დღეის მდგომარეობით, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის საჯარიმო სანქცია გათვალისწინებულია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 138-ე მუხლით, რომლის შესაბამისად, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით. მშენებლობის უსაფრთხოების წესებში მოიაზრება სამშენებლო მოედნისთვის დადგენილი უსაფრთხოების ნორმები, რაც გულისხმობს მაგალითად, ღიობების (ჭები, შურფები, ლიფტის შახტები, კიბის

უჯრედები, ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლოა ადამიანების ვარდნა) სპეციალური ხუფებით ან/და ფენილებით დაფარვას, უსაფრთხოების ბადის შესაბამისი წესებით განთავსებას და ა.შ.

- რაც შეეხება, უშუალოდ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებულ დარღვევების პრევენციასა და სანქცირებას, მომზადდა და 2019 წლის 30 მაისს ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების წესის ან/და რეალიზაციის წესის დარღვევის; ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავების; მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეში ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსების; ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირების; ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრის; არსებულ სამშენებლო მოედანზე შეუფუთავი ამტვერებადი მასალის ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის განთავსების რეგულირების თაობაზე. აღნიშნული დებულებების უმეტესი ნაწილი ძალაში შევიდა 2019 წლის ზაფხულში, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების წესის ან/და რეალიზაციის წესის დარღვევასთან დაკავშირებული დებულებები ძალაში შევიდა 2020 წლის 1 მაისიდან.
- კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წლის 28 თებერვალს მიიღო დადგენილება N54-35 მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე. რეგულაციები ასევე გავრცელდება ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაციის წესის დარღვევაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ადგილებში, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საამისოდ განსაზღვრული არ იყო.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინსპექციის მიერ განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:
    - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152[5] მუხლით (ძალაში შესვლის თარიღი 30.05.2019 წ) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავება, 2019 წლის ივლისიდან 2020 წლის დეკემბრამდე შედგენილია 43 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (საჯარიმო ქვითარი).
    - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152[6] მუხლით (ძალაში შესვლის თარიღი 30.05.2019 წ) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეში ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსება, 2019 წლის ივლისიდან 2020 წლის დეკემბრამდე შედგენილია 2 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (საჯარიმო ქვითარი).

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152[7] მუხლით (ძალაში შესვლის თარიღი 30.05.2019 წ) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირება, 2019 წლის ივლისიდან 2020 წლის დეკემბრამდე შედგენილია 703 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (საჯარიმო ქვითარი).
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152[8] მუხლით (ძალაში შესვლის თარიღი 30.05.2019 წ) - ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრა, 2019 წლის ივლისიდან 2020 წლის დეკემბრამდე შედგენილია 24 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (საჯარიმო ქვითარი).
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152[9] მუხლით (ძალაში შესვლის თარიღი 30.05.2019 წ) – ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებულ სამშენებლო მოედანზე შეუფუთავი ამტვერებადი მასალის ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის განთავსება, 2019 წლის ივლისიდან 2020 წლის დეკემბრამდე შედგენილია 61 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (საჯარიმო ქვითარი).

ღონისძიების შესრულება:

ღონისძიება შესრულდა სრულად - გამკაცრდა სანქციები და ზედამხედველობა თბილისში მშენებლობის ან სამშენებლო მასალების გადაზიდვის პროცესში გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულებაზე. შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევისთბის შედგა 833 საჯარიმო ქვითარი.

მიმართულება 2 - სამშენებლო სექტორი	
ღონისძიების ნომერი	ღონისძიება 2.1.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
ღონისძიების შესრულება	
დაგეგმილი: მშენებლობის პროცესში „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობის გამკაცრება	**შესრულებული:** გამკაცრებული სანქციები და ზედამხედველობა თბილისში მშენებლობის ან სამშენებლო მასალების გადაზიდვის პროცესში გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულებაზე. შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევისთბის შედგენილი 833 საჯარიმო ქვითარი.

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ღონისძიება 2.2 - მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების თბომომარაგებისათვის (გათბობა-ცხელწყალმომარაგება) განკუთვნილი ნებისმიერი ხელსაწყოს მიერ მოხმარებული სათბობის წვის პროდუქტების ემისიის, შენობის სახურავის მაღლა (ტექნიკური რეგლამენტით/სტანდარტით განსაზღვრულ ნიშნულზე) გაფრქვევის უზრუნველსაყოფად, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში სავალდებულო მოთხოვნის შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

შესაბამისი საქმიანობა არ განხორციელებულა.

ღონისძიების შესრულება:

ღონისძიება არ შესრულდა

მიმართულება 2 - სამშენებლო სექტორი	
ღონისძიების ნომერი	ღონისძიება 2.2.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
ღონისძიების შესრულება	
დაგეგმილი: მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების თბომომარაგებისათვის (გათბობა-ცხელწყალმომარაგება) განკუთვნილი ნებისმიერი ხელსაწყოს მიერ მოხმარებული სათბობის წვის პროდუქტების ემისიის, შენობის სახურავის მაღლა (ტექნიკური რეგლამენტით/სტანდარტით განსაზღვრულ ნიშნულზე) გაფრქვევის უზრუნველსაყოფად, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში სავალდებულო მოთხოვნის შემუშავება	**შესრულებული:** არ შესრულდა

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X	
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი	X				

მიმართულება 3 - ქალაქის მწვანე საფარი

მიმართულება 3-ის ის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო 2 ღონისძიება, რომლებიც შესრულდა სრულად. ღონისძიებები განხორციელდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ღონისძიებები ორიენტირებული იყო ქალაქში მწვანე საფარის გაზრდა-შენარჩუნებაზე და ამ მხრივ ღია გრუნტიდან ურბანული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციაზე. მიმართულება 3-ის ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგი:

- 2018-2020 წლებში ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე დაირგო სხვადასხვა სახეობის 137 432 ძირი ხე-მცენარე და 795 000 სეზონური ყვავილი. აგრეთვე, მწვანე საფარი მოეწყო ჯამში 281 432 $მ^2$-ზე.
- 2018-2020 წლებში თბილისში გამწვანების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებით მოცული ტერიტორიის ფართობი გაიზარდა 163 700 $მ^2$-ით და 442 705 $მ^2$ შეადგინა

ღონისძიება 3.1 - ქალაქის ცენტრალურ უბნებში მწვანე ზონების გაზრდა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- 2018 წლის განმავლობაში დედაქალაქში განხორციელდა სხვადასხვა სახის გამწვანების ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე დაირგო 8510 ძირი ბუჩქი, 9821 ძირი სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარე და 400 000 ძირი სხვადასხვა სეზონის ყვავილი.
- 2018 წლის განმავლობაში დედაქალაქში არსებულ სკვერებსა და პარკებში განხორციელდა მწვანე გაზონების მოწყობა, როგორც რულონური ბალახის საფარის დაგებით, ასევე ჰიდროთესვის მეთოდით. მათ შორის, რულონური ბალახის საფარი დაიგო 14 998 $მ^2$-ზე, ხოლო ჰიდროთესვის მეთოდით მწვანე საფარი მოეწყო 56 967.5 $მ^2$-ზე.
- 2019 წლის განმავლობაში, დედაქალაქში განხორციელებული გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე დაირგო სხვადასხვა სახეობის 71 219 ძირი ხე-მცენარე (მათ შორის მერქნიანი, ბუჩქოვანი და ბალახოვანი) და 78 000 სხვადასხვა სეზონური ყვავილი.
- 2019 წლის განმავლობაში დედაქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე გაზონების მოწყობა, როგორც რულონური ბალახის საფარის დაგებით, ასევე ჰიდროთესვის მეთოდით. მათ შორის, რულონური ბალახის საფარი დაიგო 8 905 $მ^2$-ზე, ხოლო ჰიდროთესვის მეთოდით მწვანე საფარი მოეწყო 57 338 $მ^2$-ზე.
- 2020 წლის განმავლობაში, დედაქალაქში განხორციელებული გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე დაირგო სხვადასხვა სახეობის 9 154 ძირი მერქნიანი მცენარე, 27 878 ძირი ბუჩქი, 10 850 ბალახოვანი მცენარე და 317 000 სეზონური ყვავილი.
- 2020 წლის განმავლობაში დედაქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე გაზონების მოწყობა, როგორც რულონური ბალახის საფარის დაგებით, ასევე ჰიდროთესვის მეთოდით. მათ შორის, რულონური ბალახის საფარი დაიგო 18 110 $მ^2$-ზე, ხოლო ჰიდროთესვის მეთოდით მწვანე საფარი მოეწყო 125 113.6 $მ^2$-ზე.
- ჯამში 2018-2020 წლებში ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე დაირგო სხვადასხვა სახეობის 137 432 ძირი ხე-მცენარე (მათ შორის მერქნიანი, ბუჩქოვანი და ბალახოვანი) და 795 000 სეზონური ყვავილი. აგრეთვე, რულონური ბალახის საფარი დაიგო 42 013

მ²-ზე, ხოლო ჰიდროთესვის მეთოდით მწვანე საფარი მოეწყო 239 419.1მ²-ზე (ჯამში 281 432 მ²-ზე).

ღონისძიების შესრულება:
ღონისძიება შესრულდა სრულად - 2018-2020 წლებში ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე დაირგო სხვადასხვა სახეობის 137 432 ძირი ხე-მცენარე და 795 000 სეზონური ყვავილი. აგრეთვე, მწვანე საფარი მოეწყო ჯამში 281 432 მ²-ზე.

მიმართულება 3 - ქალაქის მწვანე საფარი	
ღონისძიების ნომერი	ღონისძიება 3.1.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
ღონისძიების შესრულება	
დაგეგმილი: ქალაქის ცენტრალურ უბნებში მწვანე ზონების გაზრდა	**შესრულებული:** ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე დარგული სხვადასხვა სახეობის 137 432 ძირი ხე-მცენარე და 795 000 სეზონური ყვავილი. აგრეთვე, მოწყობილი მწვანე საფარი 281 432 მ²-ზე.

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ღონისძიება 3.2 - გაზონების მოვლა-პატრონობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

2018 წელი

- ქ. თბილისის პარკების 78786 მ² ტერიტორიაზე არსებული გაზონის მოვლა-პატრონობის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები – 26-ჯერ ბალახის გაკრეჭვა/გათიბვა. გაკრეჭილი ბალახის შეგროვება, ასს-ზე დატვირთვა და გატანა, 116-ჯერ - დაფოცხვა, დასუფთავება, სარეველებისაგან გაწმენდა და წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვება/გატანა; 157-ჯერ - გაზონის მორწყვა (შხაპისებრი პრინციპით); 4-ჯერ შეტანილ იქნა მინერალური სასუქი სულ 3460 კგ.
- ქ. თბილისის ურბანულ ზონებში 200 220 მ² ტერიტორიაზე არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები – 28-ჯერ ბალახის გაკრეჭვა/გათიბვა, გაკრეჭილი ბალახის შეგროვება, ასს-ზე დატვირთვა და გატანა; 114-ჯერ - დაფოცხვა, დასუფთავება, სარეველებისაგან გაწმენდა და წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვება/გატანა; 152-ჯერ - გაზონის მორწყვა (შხაპისებრი პრინციპით); 2-ჯერ შეტანილ იქნა მინერალური სასუქი 2500მ²-ზე.

2019 წელი

- ქ. თბილისის პარკების 90529 $მ^2$ ტერიტორიაზე არსებული გაზონის მოვლა-პატრონობის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები –– 37-ჯერ ბალახის გაკრეჭვა/გათიბვა, გაკრეჭილი ბალახის შეგროვება, ასს-ზე დატვირთვა და გატანა; 126-ჯერ - დაფოცხვა, დასუფთავება, სარეველებისაგან გაწმენდა და წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვება/გატანა; 198-ჯერ - გაზონის მორწყვა (შხაპისებრი პრინციპით); 2-ჯერ შეტანილ იქნა მინერალური სასუქი სულ 3140კგ.
- ქ. თბილისის ურბანულ ზონებში 201 397 $მ^2$ ტერიტორიაზე არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები ურბანულ ზონებში არსებული გამწვანება – 37-ჯერ ბალახის გაკრეჭვა/გათიბვა, გაკრეჭილი ბალახის შეგროვება, ასს-ზე დატვირთვა და გატანა; 128-ჯერ - დაფოცხვა, დასუფთავება, სარეველებისაგან გაწმენდა და წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვება/გატანა; 201-ჯერ - გაზონის მორწყვა (შხაპისებრი პრინციპით); 2-ჯერ შეტანილ იქნა მინერალური სასუქი სულ 4800კგ.

2020 წლის პირველი ნახევარი

- ქ. თბილისის პარკების 162 529 $მ^2$ ტერიტორიაზე არსებული გაზონის მოვლა-პატრონობის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები –– 17-ჯერ ბალახის გაკრეჭვა/გათიბვა, გაკრეჭილი ბალახის შეგროვება, ასს-ზე დატვირთვა და გატანა; 68-ჯერ - დაფოცხვა, დასუფთავება, სარეველებისაგან გაწმენდა და წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვება/გატანა; 81-ჯერ - გაზონის მორწყვა (შხაპისებრი პრინციპით); შეტანილ იქნა მინერალური სასუქი სულ 1 700 კგ.
- ქ. თბილისის ურბანულ ზონებში 245 934 $მ^2$ ტერიტორიაზე არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები ურბანულ ზონებში არსებული გამწვანება – 17-ჯერ ბალახის გაკრეჭვა/გათიბვა, გაკრეჭილი ბალახის შეგროვება, ასს-ზე დატვირთვა და გატანა; 68-ჯერ - დაფოცხვა, დასუფთავება, სარეველებისაგან გაწმენდა და წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვება/გატანა; 81-ჯერ - გაზონის მორწყვა (შხაპისებრი პრინციპით); შეტანილ იქნა მინერალური სასუქი სულ 3 000 კგ.

2020 წლის მეორე ნახევარი

- ქ. თბილისის პარკების 173 568 $მ^2$ ტერიტორიაზე არსებული გაზონის მოვლა-პატრონობის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები –– 18-ჯერ ბალახის გაკრეჭვა/გათიბვა, გაკრეჭილი ბალახის შეგროვება, ასს-ზე დატვირთვა და გატანა; 74-ჯერ - დაფოცხვა, დასუფთავება, სარეველებისაგან გაწმენდა და წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვება/გატანა; 77-ჯერ - გაზონის მორწყვა (შხაპისებრი პრინციპით); შეტანილ იქნა მინერალური სასუქი სულ 4 900 კგ.
- ქ. თბილისის ურბანულ ზონებში 269 137 $მ^2$ ტერიტორიაზე არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები ურბანულ ზონებში არსებული გამწვანება – 19-ჯერ ბალახის გაკრეჭვა/გათიბვა, გაკრეჭილი ბალახის შეგროვება, ასს-ზე დატვირთვა და გატანა; 75-ჯერ - დაფოცხვა, დასუფთავება, სარეველებისაგან გაწმენდა და წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვება/გატანა; 96-ჯერ -

გაზონის მორწყვა (შხაპისებრი პრინციპით); შეტანილ იქნა მინერალური სასუქი სულ 7 750 კგ.

ღონისძიების შესრულება:
ღონისძიება შესრულდა სრულად - 2018-2020 წლებში თბილისში გამწვანების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებით მოცული ტერიტორიის ფართობი გაიზარდა 163 700 m^2-ით და 442 705 m^2 შეადგინა

მიმართულება 3 - ქალაქის მწვანე საფარი	
ღონისძიების ნომერი	ღონისძიება 3.2.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
ღონისძიების შესრულება	
დაგეგმილი: გაზონების მოვლა-პატრონობა	**შესრულებული:** 2018-2020 წლებში თბილისში გამწვანების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებით მოცული ტერიტორიის 163 700 m^2-ით გაზრდილი ფართობი

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

მიმართულება 4 - ჰაერის ხარისხის და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი

მიმართულება 4 მოიცავს 2 ღონისძიებას და ჯამში 6 აქტივობას, რომელთა შორის 3 აქტივობა შესრულდა სრულად, 1 - უმეტესწილად, 2 კი არ შესრულდა. ღონისძიებები მიმართული იყო ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებაზე და ამ მხრივ ურბანული ჰაერის დაბინძურების ზუსტი დონეების განსაზღვრასა და მისი ადამიანებზე ზეგავლენის შეფასებაზე.

ღონისძიება 4.1 - ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება

ღონისძიება 4.1-ის ფარგლებში განხორციელდა 4 აქტივობა, რომელთა შორის 3 აქტივობა შესრულდა სრულად, 1 კი - არ შესრულდა. აქტივობები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- დამტკიცდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;

- დედაქალაქის 26 ლოკაციაზე ევროპული კრიტერიუმების გათვალისწინებით წელიწადში 4-ჯერ ტარდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები და ისაზღვრება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდექსები;
- შეძენილ იქნა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგური, რომლის საშუალებით მონიტორინგი წარმოებდა მარშალ გელოვანის გამზირზე.

- **აქტივობა 4.1.1:** ქ. თბილისის ჰაერის ხარისხის მოდელირება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- 2021 წლის 7 აპრილს გაეროს განვითარების პროგრამასა და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით „სტანდარტული შეთანხმების წერილი გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს შორის „მმართველობის რეფორმის ფონდის" (GRF) პროექტის ქვე-პროექტის „ქვეყანაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით მონაცემთა დამუშავებისა და მოდელირების შესაძლებლობების გაძლიერება - ფაზა II" ფარგლებში დაიწყო აქტივობები მოდელირების დანერგვის მიზნით.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა არ შესრულდა - მიმდინარეობს სამუშაოები ქ. თბილისის ჰაერის ხარისხის მოდელირების დასაწყებად ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში

ღონისძიება 4.1. ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 4.1.1.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: ქ. თბილისის ჰაერის ხარისხის მოდელირება	**შესრულებული:** ქ. თბილისის ჰაერის ხარისხის მოდელირება არ ხორციელდება

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X	
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 4.1.2:** ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შემოღება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №383 დადგენილებით დამტკიცდა „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი", რის საფუძველზეც ქვეყანა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ევროპულ სტანდარტებზე გადავიდა. შედეგად, 2018 წლის 1 აგვისტოდან ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება ევროპული სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - დამტკიცდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

ღონისძიება 4.1. ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 4.1.2.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შემოღება	**შესრულებული:** დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

- **აქტივობა 4.1.3:** ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვების განხორციელება და დედაქალაქის ცხელი წერტილების გამოვლენა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

განხორციელებული საქმიანობა

- როგორც 2017 წლის განმავლობაში, ასევე 2018, 2019 და 2020 წელს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები ქალაქ თბილისში ჩატარდა ოთხჯერ: 2017 წელს - მაისში, ივლისში, სექტემბერსა და ნოემბერში, 2018 და 2019 წელს - მარტში, ივნისში, სექტემბერსა და ნოემბერში, ხოლო 2020 წელს ივნისში, აგვისტოში,

სექტემბერსა და ნოემბერში. 2017 წელს დედაქალაქის 21, ხოლო 2018 წელს 25 ლოკაციაზე გაიზომა შემდეგი დამაბინძურებელი ინგრედიენტების შემცველობები: აზოტისა და გოგირდის დიოქსიდები, ოზონი და ბენზოლი. 2019 წელს თბილისის 25, ხოლო 2020 წელს 26 წერტილში განისაზღვრა ატმოსფერულ ჰაერში აზოტის დიოქსიდის, ოზონისა და ბენზოლის შემცველობა. მიღებული შედეგებით განისაზღვრა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდექსები და შესაბამისად გამოვლენილი იქნა საშუალო და მაღალი დაბინძურების მქონე ლოკაციები.

აქტივობის შესრულება:
აქტივობა შესრულდა სრულად - თბილისის 26 ლოკაციაზე ევროპული კრიტერიუმების საფუძველზე წელიწადში 4-ჯერ ტარდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები და ისაზღვრება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდექსები

ღონისძიება 4.1. ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 4.1.3.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვების განხორციელება და დედაქალაქის ცხელი წერტილების გამოვლენა	**შესრულებული:** თბილისის 26 ლოკაციაზე წელიწადში 4-ჯერ ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები და განსაზღვრული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდექსები

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
შესრულების შეფასება	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 4.1.4:** ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგურის შეძენა და მონიტორინგი ქალაქის სხვადასხვა წერტილში

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

განხორციელებული საქმიანობა

- 2017 წელს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შეიძინა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგური, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის აპრილში. აღნიშნული სადგურის საშუალებით ქალაქ თბილისში მონიტორინგი ძირითადად წარმოებდა მარშალ გელოვანის გამზირზე.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - შეძენილ იქნა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგური და მონიტორინგი წარმოებდა მარშალ გელოვანის გამზირზე.

ღონისძიება 4.1. ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 4.1.4.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი:	**შესრულებული:**
ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგურის შეძენა და მონიტორინგი ქალაქის სხვადასხვა წერტილში	შეძენილი ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგური და წარმოებული მონიტორინგი ქალაქის ერთ ლოკაციაზე

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

ღონისძიება 4.2 - დაბინძურებული ჰაერის ზეგავლენის შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე

ღონისძიება 4.3-ის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო 2 აქტივობა, რომელთა შორის 1 აქტივობა უმეტესწილად შესრულდა, 1 კი - არ შესრულდა. აქტივობები განხორციელდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- შერჩეულ იქნა დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის ინდიკატორები და მეთოდოლოგია, მიმდინარეობს მუშაობა დაბინძურებული ჰაერის ზეგავლენის შეფასების ჯანმოს მიერ რეკომენდებული პლატფორმის AirQ+ დასანერგად;
- შემუშავდა გარემოს ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმა ,,NEHAP-2“-ის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების ჩატარებას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე დაბინძურებული ჰაერის ზეგავლენის შეფასების მიზნით;

- **აქტივობა 4.2.1:** დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის ინდიკატორებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში ყოველთვიურად უგზავნიდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენს „მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ“, რომელშიც ასახულია ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის ყოველთვიური შედეგები.
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობს შემდეგ ინდიკატორებზე მუშაობა:
    - „მწვავე რესპირაციული დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 0-4 წლამდე ასაკის ბავშვებში“
    - „მწვავე რესპირაციული დაავადებებით ავადობის მაჩვენებელი 0-4 წლამდე ასაკის ბავშვებში“
    - „0-4 წლის ასაკის ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ შინამეურნეობებში, სადაც ნახშირი, შეშა ან ბიომასაა გამოყენებული გათბობისა და საკვების მომზადების ძირითად წყაროდ“;
    - „0-14 წლის ბავშვებში ქრონიკული რესპირაციული დაავადებების პრევალენტობა“;
- დასრულდა მუშაობა გარემოს მავნე ფაქტორებთან, მათ შორის დაბინძურებულ ჰაერთან, ექსპოზიციის შემდეგ ინდიკატორებზე:
    - „მოსახლეობა, რომელიც მოიხმარს მყარ საწვავს“;
    - „იმ ადამიანთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ცხოვრობენ PM10–ის სხვადასხვა დონის მქონე ქალაქებში (მკგ/მ^3-ში)“;
    - „ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის საშუალო დონე იმ არეალებში სადაც ადგილობრივად არ არის დაფიქსირებული ტყვიის ზემოქმედების მნიშნველოვანი წყაროები“.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა მეტწილად შესრულდა - შერჩეულ იქნა დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის ინდიკატორები, მიმდინარეობს მუშაობა ინდიკატორების დასანერგად

ღონისძიება 4.2. დაბინძურებული ჰაერის ზეგავლენის შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 4.2.1.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა

	კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის ინდიკატორებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა	**შესრულებული:** შერჩეული დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის ინდიკატორები, რომელთა დასანერგად მიმდინარეობს მუშაობა

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X			
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 4.2.2:** დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ანგარიშის წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

განხორციელებული საქმიანობა

- სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონის გარემოსა და ჯანმრთელობის რეგიონალურ ცენტრთან/ბონის ოფისთან თანამშრომლობით, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების შეფასების ჯანმოს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებული სპეციალური პროგრამის AirQ+ ასამოქმედებლად საქართველოში. აღნიშნული პროგრამა გამიზნულია კონკრეტული პოპულაციის ჯანმრთელობაზე დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების მაგნიტუდის გაანგარიშებისათვის და წარმოადგენს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მონაცემებისა და ჯანმრთელობის ცალკეული სტატისტიკური პარამეტრების ურთიერთკორელაციის პროგრამულ ინსტრუმენტს, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და სარწმუნო ეპიდემიოლოგიური კვლევების მეტა-ანალიზზე დაყრდნობით. აღნიშნული მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში, ჩატარებულია საჭიროებათა შეფასება ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და ჯანმრთელობის სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობების

თვალსაზრისით და განსაზღვრულია ანალიზს დაქვემდებარებული მონაცემების ურთიერთკავშირის სქემა.

- გარდა ამისა, განისაზღვრა მონაცემთა ანალიზის განხორციელების ინდიკატორები:
    - საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების მავნე ზეგავლენასთან ასოცირებული დამატებითი რისკის პროპორციული წილი;
    - ჰაერის დაბინძურებასთან ასოცირებული ავადობისა და სიკვდილობის შემთხვევების პროპორციული რაოდენობა;
    - ჰაერის დაბინძურებასთან ასოცირებული ავადობისა და სიკვდილობის შემთხვევების პროპორციული რაოდენობა, რისკის ქვეშ მყოფ ყოველ 100 000 მოსახლეზე გადაანგარიშებით;
    - ავადობისა და სიკვდილობის შემთხვევების პროპორციული რაოდენობა ჰაერის დაბინძურების თითოეული კატეგორიისათვის;
    - დაბინძურებულ ჰაერთან ასოცირებული ჯანმრთელობის დამატებითი რისკების კუმულაციური დისტრიბუცია ჰაერის დამაბინძურებლების კონცენტრაციის მიხედვით;
    - სიცოცხლის დაკარგული წლების რაოდენობა.
- იდენტიფიცირებული მონაცემებისა და ინდიკაოტრების მიხედვით გამოთხოვნილ იქნა მონაცემები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან (ასაკ-სტანდარტიზებულ სიკვდილობასთან დაკავშირებით) და დაავადებათა კონტროლის ცენტრის სტატისტიკის დეპარტამენტის ხელთ არსებული ავადობის უახლეს (2019 წლის) მონაცემებთან შეჯერებით, ამჟამად მიმდინარეობს ანალიზის და შეჯამების პროცესი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გაძნელებულია სრულფასოვანი კვლევის ჩატარება, რომელიც კონკრეტული დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების მიზეზებს შორის საწმუნო კავშირს დაადგენს საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიის მიხედვით, საკითხის კომპლექსურობისა და არსებულ მონაცემთა არასრულყოფილების გამო.
- 2019 წლის ნოემბერში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ქ. თბილისში ჩატარებული რეგიონული სამუშაო შეხვედრის შედეგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე, ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორსა და ბონის ოფისის წარმომადგენლებს შორის ოფიციალურად გამართული შეხვედრისას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის ბონის ოფისის ჩართულობით, AirQ+ პლატფორმის გამოყენებითა და მის ასამოქმედებლად იგეგმებოდა სამუშაოების დაწყება 2020 წელს, თუმცა COVID 19 პანდემიის გამო ამგვარი რესურსი ვერ გამოიძებნა.
- ადგილობრივი რესურსებით, უწყებათაშორისი სამუშო ჯგუფების ფორმირება, რომლის წევრებად მოისაზრება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამასახურის, გარემოს ეროვნული სააგენტოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, განახლდება მიმდინარე წლის სექტემბერში და პირველი ანგარიშის მომზადების სავარაუდო თარიღად 2021 წლის დეკემბერი შეიძლება იქნას დასახელებული. გამომდინარე იქედან, რომ სამუშაო პროცესში ასევე მნიშვნელოვანია ჯანმოს ევროპის რეგიონის გარემოსა და ჯანმრთელობის რეგიონალური ცენტრის/ბონის ოფისის ჩართულობა, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე პანდემიის გამო გამოწვეული პრიორიტეტების გამო

შეიზღუდა, ვიმედოვნებთ, რომ სექტემბრიდან მათთან დაწყებული სამუშაო პროცესიც განახლდება.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა არ შესრულდა - შერჩეულ იქნა დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის ინდიკატორები და მეთოდოლოგია, მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული მეთოდოლოგიის დასანერგად

ღონისძიება 4.2. დაბინძურებული ჰაერის ზეგავლენის შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 4.2.2.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ანგარიშის წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის	**შესრულებული:** მიმდინარეობს მუშაობა დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მეთოდოლოგიის დასანერგად

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

მიმართულება 5 - საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

მიმართულება 5 მოიცავს 2 ღონისძიებას და ჯამში 7 აქტივობას, რომელთა შორის 6 აქტივობა შესრულდა სრულად, 1 კი ნაწილობრივ. ღონისძიებები მიმართული იყო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოების ინფორმირების მექანიზმების გაუმჯობესებაზე.

ღონისძიება 5.1 - საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება

ღონისძიება 5.1-ის ფარგლებში განხორციელდა 5 აქტივობა, რომელთა შორის 4 აქტივობა შესრულდა სრულად, 1 კი - ნაწილობრივ. აქტივობები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. 5.1 ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზეგავლენის, ასევე ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების არაერთი კამპანია და ღონისძიება, რომლებიც გაშუქდა მასობრივი ინფორმაციის, მიზნობრივი ლიტერატურისა და სწავლების პროპაგანდის საშუალებით;
- უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მგზავრობის უპირატესობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით გავრცელდა შესაბამისი ინფორმაცია კომუნიკაციის სხვადასხვა არხებით;
- მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებს დაემატა ავტომობილების ეკო-მართვის წესების შესახებ საკითხები;
- ეროვნული სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნა მდგრადი განვითარების პრინციპები

- **აქტივობა 5.1.1:** საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციის საინფორმაციო კამპანია

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

განხორციელებული საქმიანობა

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციის მიმართულებით, აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის (SUMP) შემუშავების ფარგლებში, ასევე, მიმდინარეობს კომუნიკაციის გეგმისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სტრატეგიის მომზადება, რომელიც მუნიციპალიტეტისათვის ხელმისაწვდომი იქნება 2021 წლის ზაფხულში. შესაბამისად, აღნიშნული გეგმისა და სტრატეგიის ერთობლიობა ეფექტიანად უპასუხებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის უპირატესობების შესახებ მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების შესახებ გამოწვევებს.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ - საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციის მიმართულებით მიმდინარეობს კომუნიკაციის გეგმისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სტრატეგიის მომზადება

ღონისძიება 5.1. საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 5.1.1.
პასუხისმგებელი უწყება:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციის საინფორმაციო კამპანია	**შესრულებული:** საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციის მიზნით მიმდინარეობს

	კომუნიკაციის გეგმისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სტრატეგიის მომზადება

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 5.1.2:** ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზეგავლენის, ასევე ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება (გაშუქება მასობრივი ინფორმაციის, მიზნობრივი ლიტერატურისა და სწავლების პროპაგანდის საშუალებით)

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

განხორციელებული საქმიანობა

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაცვის თემაზე გაიმართა 34 ლექცია-სემინარი, რომელსაც 762 მოსწავლე, სტუდენტი და პედაგოგი დაესწრო. ლექცია-სემინარების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ასევე საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით. ოზონის შრის დაცვის დღის ფარგლებში გამოცხადდა ესეების და ვიდეომიმართვების კონკურსი „დაიცავი ოზონის შრე - დაიცავი სიცოცხლე დედამიწაზე" სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის. კონკურსში მონაწილეობას იღებდა 24 პირი, ხოლო დასკვნით ღონისძიებას დაესწრო 65 პირი. ცენტრის მიერ კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის (CENN) ორგანიზებით გამართულ საზაფხულო ეკობანაკში - „მდგრადი განვითარების მიზნები" მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგი: „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება". ტრენინგში 32 მოსწავლე მონაწილეობდა;
- ჰაერის დაბინძურების შემცირების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, ცენტრმა რადიო „კომერსანტთან" თანამშრომლობით მოამზადა 13 რადიო გადაცემა. გადაცემის ჩანაწერები გავრცელდა ცენტრის Facebook-ის გვერდის მეშვეობითაც.
- ატმოსფერული ჰაერის თემაზე დაინტერესებული საზოგადოებისთვის ჩატარდა 5 საჯარო შეხვედრა და დისკუსია. საერთო ჯამში შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 324-მა ადამიანმა. ონლაინ რეჟიმში, Facebook live-ების მეშვეობით საჯარო დისკუსიებში განხილული საკითხების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა 5097 ადამიანს.
- განხორციელდა სოციალური მედია (Facebook) კამპანია - ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, დაბინძურება და ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. გავრცელდა

ონლაინ კითხვარი „რა იცით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ?". კითხვარი შეავსო სოციალური ქსელის 87-მა მომხმარებელმა. ონლაინ კითხვარი (ე.წ. ქვიზი) ასევე განთავსდა საინფორმაციო სააგენტო „ნეტგაზეთის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ამავე კამპანიის ფარგლებში განთავსდა 26 თემატური ბანერი, 11 ვიდეო და 2 ონლაინ კითხვარი. გავრცელებულმა მასალამ მიაღწია 1 060 030 ადამიანამდე.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმის "ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში, ცენტრის მიერ მომზადდა ტრენინგმოდული, რომელიც სხვა გარემოსდაცვით თემებთან ერთად ასევე მოიცავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის საკითხს. პროექტისათვის შერჩეული კურიკულუმის ექსპერტებისთვის გაიმართა ტრენინგები (93 მონაწილე), რის შემდეგაც ისინი გარემოსდაცვითი საკითხების დანერგვას შეძლებენ დაწყებით საფეხურზე, რაც ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა.
- ცენტრმა მოამზადა დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, რომელიც ძირითად გარემოსდაცვით პრობლემებს ეხება, მათ შორის ჰაერის დაბინძურების პრობლემას და გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. წიგნი ელექტრონულ ფორმატში ატვირთულია ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.eiec.gov.ge) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით დაგეგმილია წიგნის მიწოდება ყველა სკოლისათვის;
- ცენტრის ორგნიზებით გაიმართა საჯარო დისკუსია „ჰაერის დაცვის პოლიტიკა". ცენტრის, საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის ერთობლივი ორგანიზებით „ჰაერის დაცვის პოლიტიკის" შესახებ გაიმართა შეხვედრადისკუსია, რომელშიც თბილისის საჯარო სკოლებისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 100-ზე მეტი ახალგაზრდა მონაწილეობდა. დარგის სპეციალისტებმა შეხვედრის მონაწილეებთან ერთად იმსჯელეს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებლების, დაბინძურების წყაროებისა და მათი ზეგავლენის შესახებ.
- საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ცენტრის საინფორმაციო სამსახურის მიერ, სოციალური ქსელის (facebook.com/eiecgovge/) მომხმარებლებისთვის მომზადდა სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებში კვირაში ორჯერ ვრცელდებოდა თემატური პოსტები, რომლებიც მოიცავდა ჰაერის ხარისხთან დაკავშირებულ რამდენიმე მიმართულებას. ასევე, ინფორმაციას ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებელ ძირითად ვალდებულებებსა და 2017 წელს მთავრობის მიერ დამტკიცებულ თბილისის ჰაერის დაცვის ორმოცპუნქტიანი პროგრამის ძირითად მიმართულებებზე.ასევე, საწვავში დაგარემოში ერთ-ერთი დამაბინძურებელი ნივთიერების, ტყვიის მოხვედრის მიზეზებსა და წყაროებზე. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, გამართა საჯარო დისკუსია: „ტყვია-გარემოს ერთ-ერთ სახიფათო დამბინძურებელი, ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის გაფრქვევის უმთავრესი წყაროები და გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე".
- ცენტრის სპიკერები მონაწილეობდნენ ჰაერის ხარისხის თემატიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტელე-რადიო გადაცემაში.
- გაიმართა ატმოსფერული ჰაერის დაცვის პოლიტიკის პრეზენტაცია. სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ანგარიშისა და სამომავლოდ დაგეგმილი ქმედებების წარდგენასთან ერთად, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, აკადემიური, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები გაეცნენ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალს - www.air.gov.ge (137 პირი); ინფორმაცია გავრცელდა მასობრივი

ინფორმაციის საშუალებებით. ჰაერის ხარისხის პორტალზე (air.gov.ge) განთავსებულია რეკომენდაციები „როგორ დავიცვათ ჰაერი", სადაც ხაზგასმულია ეკომეგობრული ტრანსპორტის როლი და უპირატესობები ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

- მომზადდა ვიდეორგოლი „შეამცირე ჰაერის დაბინძურება საკუთარი ქმედებით", რომლის ფარგლებში საჯარო დიალოგში მონაწილე მედიის, სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები საუბრობენ საზოგადოების როლზე ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად (წვდომა 32 433 სოციალური ქსელის მომხმარებელი).
- მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ხაზგასმის მიზნით, შემუშავდა და დაიწყო ჰაერის საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც მომზადდა ვიდეოების სერია - „მწვანე წუთი". კამპანიის ფარგლებში ცნობილი ადამიანები მიმართავენ საზოგადოებას და საუბრობენ მათ მნიშვნელობასა და როლზე ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ ეტაპზე მომზადებულია 16 ვიდეო მიმართვა (ორენოვანი). სამინისტროს (facebook com/MEPAGeorgia/), გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის (facebook.com/eiecgovge/) და გარემოს ეროვნული სააგენტოს (facebook.com/nea.georgia/) სოციალური ქსელში განთავსებულია 2 ვიდეო რგოლი (წვდომა 21 416 სოციალური ქსელის მომხმარებელი).გარდა ამისა, მომზადდა საინფორმაციო ვიდეო-რგოლი ატმოსფერული ჰაერის დაცვის პოლიტიკის შესახებ, რომელიც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას ატმოსფერული ჰაერის ძირითად დამაბინძურებლებზე და სამთავრობო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე თუ დაგეგმილ ღონისძიებებზე ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სოციალური მედიით (facebook.com/eiecgovge) გავრცელების შედეგად ვიდეომ მიაღწია სოციალური ქსელის 54 919 მომხმარებლამდე.
- საერთაშორისო გარემოსდაცვითი საინფორმაციო კამპანიის - „დედამიწის საათის" ღონისძიებების ფარგლებში, ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მგზავრობის წახალისების მიზნით, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა ველომსვლელობა და გარბენი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200-მდე მოხალისემ.
- გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა საჯარო დიალოგი „შეამცირე ჰაერის დაბინძურება საკუთარი ქმედებით", რომლის ფარგლებში, მოწვეულმა სტუმრებმა, დარგის სპეციალისტებთან ერთად ისაუბრეს ატმოსფერული ჰაერის დამბინძურებლებსა და დაბინძურების წყაროებზე, ასევე ადამიანის ჯანმრთელობაზე მათ ზეგავლენაზე და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს (60 პირი). ინფორმაცია გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ასევე, მომზადდა და ცენტრის სოციალური ქსელის (facebook.com/eiecgovge/) მეშვეობით გავრცელდა თემატური საინფორმაციო ბანერი (წვდომა 3072 სოციალური ქსელის მომხმარებელი).
- ცენტრის მიერ მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ფლაერი ატმოსფერული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებლების, საქართველოში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემებისა და ატმოსფერული ხარისხის პორტალის მიზნების თუ ამოცანების შესახებ, რომელიც ვრცელდება ჰაერის დაცვის პოლიტიკის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებსა და შეხვედრებზე. ფლაერის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (eiec.gov.ge) და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

- გარემოს რისკ-ფაქტორების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების საკითხებში მოსახლეობის გათვიცნობიერებისა და ცოდნის ამაღლების მიზნით, სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია გარემოს ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული მასალები, მათ შორის ჰაერის დაბინძურების გავლენის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობაზე, რომელიც რეგულარულად ახლდება. სოციალურ ქსელში „Facebook", შეიქმნა საინფორმაციო გვერდი სახელწოდებით „დაიცავი გარემო.protect environment" და აქტიურად მიმდინარეობს გვერდის პოპულარიზაცია ინფორმაციის გაზიარების მიზნით.
- 2020 წელს „ჯანმრთელობის ხელშეწყობის" სახ. პროგრამის რიგი კომპონენტების ფარგლებში ვერ განხორციელდა ინტერვენციები COVID-19-თან დაკავშირებული პანდემიის გამო და განხორციელდა მათი ადაპტირება COVID-19-ზე საკომუნიკაციო კამპანიის რეაგირების ჭრილში. თუმცა ფეისბუქ გვერდის მეშვეობით პერიოდულად მიმდინარეობს მასალების გაზიარება და განახლება ჰაერის დაბინძურებასა და ტყვიით დაბინძურების საკითხებზე. მომზადდა და სოციალური ქსელით გავრცელდა ვიზუალური მასალები ტყვიით მოშხამვის პრევენციის კვირეულთან დაკავშირებით.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზეგავლენის, ასევე ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების არაერთი კამპანია და ღონისძიება, რომლებიც გაშუქდა მასობრივი ინფორმაციის, მიზნობრივი ლიტერატურისა და სწავლების პროპაგანდის საშუალებით

ღონისძიება 5.1. საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 5.1.2.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის აავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი:	**შესრულებული:**
ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზეგავლენის, ასევე ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება (გაშუქება მასობრივი ინფორმაციის, მიზნობრივი	წარმოებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზეგავლენის, ასევე ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ღონისძიებები, რომლებიც შუქდებოდა მასობრივი ინფორმაციის, მიზნობრივი

ლიტერატურისა და სწავლების პროპაგანდის საშუალებით)	ლიტერატურისა და სწავლების პროპაგანდის საშუალებით

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 5.1.3:** მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებში დამატებით ავტომობილების ეკო-მართვის წესების შესახებ საკითხების შეტანა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების (ბილეთები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის N814 ბრძანებაში 2018 წლის 31 აგვისტოს შევიდა ცვლილება და სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტებს (ბილეთებს) დაემატა ეკო-მართვის 51 საგამოცდო ტესტი (ბილეთი).

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებს დაემატა ავტომობილების ეკო-მართვის წესების შესახებ საკითხები

ღონისძიება 5.1. საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 5.1.3.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებში დამატებით ავტომობილების ეკო-მართვის წესების შესახებ საკითხების შეტანა	**შესრულებული:** მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებში შეტანილი ავტომობილების ეკო-მართვის წესების შესახებ საკითხები

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

- **აქტივობა 5.1.4:** გარემოს დაცვის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება ეროვნულ სასწავლო გეგმაში

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მდგრადი განვითარების პრინციპები გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის, როგორც ზოგად ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს არაფორმალური განათლების კომპონენტს, ასევე საკუთრივ საგნობრივ სტანდარტებში. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ საკითხები ასახულია გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტსა და წლიურ პროგრამაში, როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ეკოლოგიური პრობლემა.
- შემუშავებული ტრენინგმოდული და დაგეგმილი ტრენინგები "ახალი სკოლის მოდელის" პროექტისათვის შერჩეული კურიკულუმის ექსპერტებისთვის.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - ეროვნული სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნა მდგრადი განვითარების პრინციპები

ღონისძიება 5.1. საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 5.1.4.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: გარემოს დაცვის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება ეროვნულ სასწავლო გეგმაში	**შესრულებული:** ეროვნული სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული მდგრადი განვითარების პრინციპები

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

- **აქტივობა 5.1.5:** საზოგადოების ინფორმირება უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მგზავრობის უპირატესობის შესახებ

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

განხორციელებული საქმიანობა

- მომზადდა და მასმედიის საშუალებით გავრცელდა სიუჟეტი მოსახლეობისათვის ჰაერის დაბინძურების ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შესახებ. მოქალაქეებს მიეწოდათ ინფორმაცია ქალაქებში უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მგზავრობის უპირატესობის შესახებ, რომელიც ათავისუფლებს დამატებითი ხარჯებისაგან და ასევე არის რეგულარული ფიზიკური აქტივობა.
- სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა და ვებ-გვერდზე განთავსდა მასალები ტრანსპორტის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის პან-ევროპული პროგრამის შესახებ.
- მოეწყო ველომსვლელობა და გარბენი ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მგზავრობის წახალისების მიზნით;
- Air.gov.ge-ზე განთავსდა რეკომენდაციები "როგორ დავიცვათ ჰაერი" ეკომეგობრული ტრანსპორტის როლის ხაზგასასმელად.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მგზავრობის უპირატესობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით გავრცელდა შესაბამისი ინფორმაცია კომუნიკაციის სხვადასხვა არხებით

ღონისძიება 5.1. საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 5.1.5.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი: საზოგადოების ინფორმირება უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მგზავრობის უპირატესობის შესახებ	**შესრულებული:** უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მგზავრობის უპირატესობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით გავრცელებული შესაბამისი ინფორმაცია კომუნიკაციის სხვადასხვა არხებით

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
შესრულების შეფასება	სტატუსი		X			

ღონისძიება 5.2 - საზოგადოების ინფორმირება

ღონისძიება 5.2-ის ფარგლებში განხორციელდა 2 აქტივობა, რომლებიც შესრულდა სრულად. აქტივობები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- თბილისის ავტომატური მონიტორინგის ქსელის მონაცემები განთავდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე - air.gov.ge;
- ყოველ 6 თვეში ერთხელ მზადდებოდა „ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ" სახელმწიფო პროგრამის ანგარიში, რომელიც ქვეყნდებოდა ჰაერის ხარისხის პორტალზე - air.gov.ge.

- **აქტივობა 5.2.1:** თბილისის ავტომატური მონიტორინგის ქსელის მონაცემების ონლაინ რეჟიმში ვებ-გვერდზე განთავსება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

განხორციელებული საქმიანობა

- ქ. თბილისში განთავსებული ავტომატური სადგურებიდან მიღებული მონაცემები ყოველდღიურად ქვეყნდებოდა ვებ-გვერდზე: www.nea.gov.ge.
- აღნიშნული ინფორმაცია რეალურ დროსთან მაქსიმალური მიახლოებით, მოსახლეობისთვის ადვილად გასაგები ჰაერის ხარისხის ევროპული ინდექსის საშუალებით ონლაინ რეჟიმში მიწოდების უზრუნველსაყოფად 2019 წლიდან ამოქმედდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი - air.gov.ge. ევროპის გარემოს სააგენტოსთან (EEA) თანამშრომლობით ავტომატური მონიტორინგის ქსელის მონაცემები ასევე განთავსდა ევროპის ჰაერის ხარისხის პორტალზე (www.airindex.eea.europa.eu). ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე ხარისხობრივ მონაცემებთან ერთად განთავსებულია სხვა დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის რეკომენდაციები „როგორ დავიცვათ ჰაერი" და ჯანდაცვითი რეკომენდაციები დაბინძურების დონის შესაბამისად.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - თბილისის ავტომატური მონიტორინგის ქსელის მონაცემები განთავდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე - air.gov.ge.

ღონისძიება 5.2. საზოგადოების ინფორმირება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 5.2.1.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	

დაგეგმილი:	**შესრულებული:**
თბილისის ავტომატური მონიტორინგის ქსელის მონაცემების ონლაინ რეჟიმში ვებ-გვერდზე განთავსება	ონლაინ რეჟიმში ჰაერის ხარისხის პორტალზე განთავსებული რეალურ დროსთან მიახლოვებული თბილისის ავტომატური მონიტორინგის ქსელის მონაცემები

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **აქტივობა 5.2.2:** სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

განხორციელებული საქმიანობა

- ყოველ 6 თვეში ერთხელი მზადდებოდა სახელმწიფო პროგრამის ანგარიში, რომელიც ქვეყნდებოდა ჰაერის ხარისხის პორტალზე - air.gov.ge.

აქტივობის შესრულება:

აქტივობა შესრულდა სრულად - სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ჰაერის ხარისხის პორტალზე

ღონისძიება 5.1. საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება	
აქტივობის ნომერი	აქტივობა 5.2.2.
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	12.07.2017 – 31.12.2020
აქტივობის შესრულება	
დაგეგმილი:	**შესრულებული:**
სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება	სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ჰაერის ხარისხის პორტალზე განთავსებული ინფორმაცია

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

გამოწვევები და რეკომენდაციები

გამოწვევები და რისკები

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღწეულ არაერთ წარმატებასთან ერთად, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ განხორციელების პროცესში დამდგარი ძირითადი გამოწვევები და შესაბამისი თანმდევი რისკები, რათა ერთის მხრივ, უკეთ შევაფასოთ სახელმწიფო პროგრამის შედეგები ხელშემშლელი გარემოებების გამოვლენის გზით, მეორეს მხრივ კი, უკეთ დავგეგმოთ ახალი პოლიტიკა წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მრავალი ღონისძიება იქნა გატარებული ავტოსატრანსპორტო სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად, ფაქტია, საკვანძო ღონისძიებათა ნაწილი არ შესრულდა ან მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. კერძოდ, არასაკმარისი ნაბიჯები გადაიდგა ავტოპარკის გაახალგაზრდავებისა და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობის კუთხით (ღონისძიება 1.2). ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჯერაც არ არის დადგენილი ასს-ების ემისიის სტანდარტები და მის საფუძველზე არ ხდება ასს-ების იმპორტის ეტაპობრივი აკრძალვა (აქტივობა 1.2.1; 1.2.2), რაც ხელს უწყობს ავტოპარკის ზრდას დიდი ასაკის მქონე ასს-ებით, რომლებიც ფინანსურად უფრო ხელმისაწვდომია და რომელშიც წვის პროცესი შესაბამისი ხარისხით ვერ მიმდინარეობს. აღნიშნული პროცესის გაჭიანურება გამოიწვია საკითხის კომპლექსურობამ, მოსალოდნელმა ფინანსურმა დანაკარგებმა და არასაკმარისმა ადამიანურმა და ფინანსურმა რესურსებმა.

აგრეთვე, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მცირე პროგრესია მიღწეული ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებების (ტრამვაი და საბაგირო) განვითარების მიმართულებით (აქტივობა 1.4.2; 1.4.3). დედაქალაქში ასევე არასაკმარისად არის განვითარებული ელექტრომობილების სწრაფდამტენი ინფრასტრუქტურა (აქტივობა 1.2.3; 1.2.4), რაც ხელშემშლელი ფაქტორია ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ფართო გავრცელებისთვის. წარუმატებლობის ძირითადი განმაპირობებელია შესაბამისი მიმართულებით ინვესტიციების ნაკლებობა, რასაც თავის მხრივ აღნიშნულ სფეროში მთავარი ინვესტორის - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შეზღუდული ფინანსური რესურსები განაპირობებს.

საბოლოო ჯამში ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო იზრდება აზოტის დიოქსიდის გაფრქვევები სატრანსპორტო სექტორიდან, რაც აუარესებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხს დედაქალაქში და აბალანსებს იმ პოზიტიურ შედეგებს, რომლებიც სხვა პარალელური ღონისძიებების განხორციელებით იქნა მიღწეული. ამასთან, თბილისში სატრანსპორტო ნაკადების მართვა ჯერაც არ არის ადაპტირებული ჰაერის მაღალი დაბინძურების ზონებში დაბინძურების დონის შემცირებაზე (აქტივობა 1.5.5), რაც განაპირობებს ასეთ ადგილებში ჰაერის დაბინძურების მაღალი დონის შენარჩუნებას.

გარკვეული გამოწვევები დაფიქსირდა ჰაერის ხარისხის და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიმართულებით სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების კუთხითაც. კერძოდ, არ მომზადებულა ქ.

თბილისის ჰაერის ხარისხის მოდელი (აქტივობა 4.1.1), რაც იქნებოდა დედაქალაქის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ალტერნატიული წყარო. აღნიშნული გამოწვეულია შესაბამისი ექსპერტული ცოდნის და გამოცდილების არარსებობითა და ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობით. აგრეთვე, არ შესწავლილა დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა (აქტივობა 4.2.2), რაც გვიჩვენებდა ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გრძელვადიანი ნეგატიური ზეგავლენის შედეგებს. 4.2.2 აქტივობის შეუსრულებლობა განპირობებულია შესაბამისი გამოცდილების, ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობით. ამასთან, აქტივობის განხორციელება გაჭიანურდა კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო. 4.1.1 და 4.2.2 აქტივობების შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ სწორად შევაფასოთ დედაქალაქში ჰაერდაცვითი პოლიტიკის განხორციელების შედეგები.

გარდა ამისა, სახელმწიფო პროგრამის განხორციელების პროცესში არ არსებობდა კოორდინაციის ეფექტური მექანიზმები, რაც შესაძლებელს გახდიდა წარმოქმნილი პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას, დროულ განხილვასა და გადაწყვეტას, რაც გაამჯობესებდა სახელმწიფო პროგრამით მიღებულ შედეგებს. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ფონზე, რომ სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული საკითხების ძირითადი ნაწილი იყო მულტისექტორული ხასიათის და საჭიროებდა ერთობლივ კოორდინირებულ ძალისხმევას განსაკუთრებით სამთავრობო უწყებების მხრიდან. ფორმალურად სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თუმცა მისი როლი ძირითადად პასუხისმგებელი უწყებებიდან პროგრამის შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვებითა და გაერთიანებით შემოიფარგლებოდა. შედეგად, განუხორციელებელი დარჩა რამდენიმე ისეთი აქტივობა, რომელიც ორი ან მეტი უწყების ერთობლივ მუშაობას საჭიროებდა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოწვევები სახელმწიფო პროგრამის განხორციელების პროცესში ძირითადად განაპირობა ადამიანური და ფინანსური რესურსების არასაკმარისობამ, შესაბამისი კვალიფიკაციის ნაკლებობამ, კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ და განმახორციელებელ უწყებებს შორის არაეფექტურმა კოორდინაციამ. ქ. თბილისისთვის ჰაერდაცვითი პოლიტიკის შემდეგი ფაზის დაგეგმვის ეტაპზე აუცილებელია აღნიშნული გამოწვევებისა და მისგან გამოწვეული რისკების მინიმიზაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნას პოლიტიკის წარმატებული განხორციელება.

რეკომენდაციები და შემდგომი ნაბიჯები

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონიძიებები არასაკმარისია და მან მხოლოდ ნაწილობრივ მოაგვარა ქ. თბილისში ჰაერის დაბინძურების პრობლემა. ამ მხრივ, განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას აზოტის დიოქსიდით დაბინძურების არსებულ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ავტოტრანსპორტის სექტორიდან გაფრქვევებთან. ამასთან, სრულად არ შესრულებულა სახელმწიფო პროგრამის აქტივობათა 45%, რაც მოიცავს რამდენიმე საკვანძო ღონისძიებასაც, რომელთა დროული განხორციელებაც შეამცირებდა დაბინძურებას მათ შორის ავტოსატრანსპორტო სექტორიდან.

მნიშვნელოვანია ქ. თბილისის ჰაერდაცვითი პოლიტიკის შემდგომი დოკუმენტი იყოს უფრო მაღალი ხარისხის და უფრო მეტად შეესაბამებოდეს პოლიტიკის დოკუმენტებისადმი თანამედროვე მოთხოვნებს. ამისთვის აუცილებელია პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდეს „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესზე“[2] დაყრდნობით, განისაზღვროს ე.წ. SMART ინდიკატორები და შესაბამისი საბიუჯეტო რესურსები, რაც შესაძლებელს გახდის უფრო მარტივად გაიზომოს პოლიტიკის განხორციელებით მიღებული პროგრესი.

ქ. თბილისის შემდგომი ჰაერდაცვითი პოლიტიკის დოკუმენტის ეფექტური განხორციელებისთვის აუცილებელია კოორდინაციის შესაბამისი მექანიზმების განსაზღვრა, რომლის კარგ საშუალებად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 ივლისის N1354 განკარგულებით შექმნილი „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისია“. ასევე, შესაძლებელია აღნიშნული კომისიის ფარგლებში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უშუალოდ ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემაზე და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებაზე იმუშავებს.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია ჰაერდაცვითი პოლიტიკის ახალი დოკუმენტი იყოს უფრო მეტად რეალისტური და შედეგზე ორიენტირებული, რათა საბოლოოდ მოგვარდეს დედაქალაქში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა.

საჭიროა შესაბამისი უწყებების მიერ გაგრძელდეს ასს-ების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სისტემის გამართული ფუნქიონირება და მისი სრული შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან. აღნიშნული გულისხმობს კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოთხოვნებისა და ზედამხედველობის შემდგომ გამკაცრებას ტესტირების ცენტრების მიმართ, ასევე, კონტროლისა და სანქციების კიდევ უფრო გაზრდას იმ ასს-ებისთვის, რომელსაც არ გაუვლია ან ვერ გაიარა გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება. გარდა ამისა, აუცილებელია ასს-ებიდან გამონაბოლქვის გზაზე შემოწმების სისტემის დანერგვა, რაც მინიმუმამდე შეამცირების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლას სხვადასხვა მაქინაციების საშუალებით (როგორიცაა სხვა საწვავის ან საწვავის დანამატების გამოყენება, წვის სისტემების დროებით მხოლოდ ინსპექტირების გავლის პერიოდში გამართვა ნაწილების თხოვება/ქირაობით და ა.შ.). შესაბამისი მხარეების მიერ აუცილებელია აგრეთვე ამორტიზებული ასს-ების უტილიზაციის მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

აუცილებელია უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება ავტოპარკის გაახალგაზრდავების და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობის კუთხით. ამ მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასს-ების ემისიის სტანდარტების მიღებას და მის საფუძველზე დაბალი სტანდარტის ასს-ების იმპორტის აკრძალვას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ანალოგიური შეზღუდვა აქვს აბსოლუტურად ყველა მეზობელ ქვეყანას. საჭიროა გაგრძელდეს

[2] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილება

დედაქალაქში უფრო სუფთა ავტომობილებისთვის, მათ შორის ელექტრომობილებისთვის პრეფერენციული გარემოს შექმნა და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ თითქმის სრულად განახლდა ქ. თბილისის ავტობუსების პარკი უფრო სუფთა ტრანსპორტით. ასევე დაიწყო მიკროავტობუსების პარკის განახლება. მიმდინარეობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის გაფართოება და ახალი მარშრუტების დამატება. საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიენიჭა პრიორიტეტი და მოეწყო სპეციალური სავალი ზოლები. მნიშვნელოვანია აღნიშნული რეფორმის გაგრძელება და ბოლომდე მიყვანა, რათა გაიზარდოს დაინტერესება საზოგადოებრივი ტრანსპორტით, იგი გახდეს უფრო მიმზიდველი, ხელმისაწვდომი, მოსახერხებელი და აღნიშნული წყაროდან შემცირდეს ჰაერის დაბინძურება ქალაქში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ასევე სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მიწისქვეშა, მიწისზედა და საჰაერო ალტერნატიული საზოგადოებრივი ტრანსპორტის (მეტრო, ტრამვაი და საბაგირო) განვითარებას, რაც გაზრდის ეკოლოგიურად სუფთა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას და მასზე მოთხოვნას.

საჭიროა ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის სავალი გზების შემდგომი გაუმჯობესება. დედაქალაქში გაიზარდა იმ ქუჩების რაოდენობა, რომელზეც გამოყოფილია ველობილიკები, თუმცა ისინი ხშირად ერთმანეთს არ უკავშირდებიან, რაც ხელშემშლელი ფაქტორია აღნიშნული ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალების განსავითარებლად.

ქ. თბილისში სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორებთან ერთად მხედველობაში იქნეს მიღებული ქალაქის ტერიტორიაზე ჰაერის მაღალი დაბინძურების ზონების განტვირთვა და საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმოს და გატარდეს შესაბამისი დამატებით ღონისძიებები აღნიშნულ ზონებში დაბინძურების დონის შესამცირებლად.

ავტოტრანსპორტიდან ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად შესაძლებელია ასევე განხილულ იქნას დედაქალქში გარკვეულ ლოკაციებზე ავტომობილით მოძრაობის გადასახადის (Congestion Charge) დაწესება ან მცირე გამონაბოლქვიანი ზონების (Low Emission Zones) შექმნა.

სამშენებლო სექტორიდან მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შესამცირებლად მნიშვნელოვანია გამკაცრებული სამშენებლო რეგულაციების აღსრულების ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა.

ამტვერების პრევენციისთვის რეკომენდირებულია ქუჩების სველი წესით დასუფთავება განსაკუთრებით წლის მშრალ პერიოდებში და საავტომობილო გზების რეაბილიტაციის დროს, ასევე მწვანე საფარის ზრდა და გრუნტის დაფარვა გაზონით ან სხვა საშუალებებით (მაგ. მულჩით).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ქ. თბილისში მკვეთრად გაუმჯობესდა ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის ქსელი, ქალაქში ჯერაც არ არის ავტომატური

მონიტორინგის სადგურების ოპტიმალური რაოდენობა და ჯერაც არ იზომება ჰაერის ხარისხის სტანდარტებით განსაზღვრული ყველა მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია. შესაბამისად, ჰაერის დაბინძურების სრული სურათის დასანახად საჭიროა ქალაქში მონიტორინგის სადგურებისა და სპექტრის გაზრდა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დანერგვა. მნიშვნელოვანია ასევე შესაბამის ინდიკატორებსა და მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, რომელიც უფრო ზუსტად შეაფასებდა ურბანული ჰაერის დაბინძურების ზეგავლენას ქალაქის მაცხოვრებლებზე.

საჭიროა ატმოსფერული ჰაერის დაცვის და მისი დაბინძურების შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების ღონისძიებების გაგრძელება სამიზნე ჯგუფებში. საზოგადოების ინფორმირების გაზრდის მიზნით რეკომენდირებულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალის კიდევ უფრო განვითარება და პორტალზე არსებული ინფორმაციის განახლება. ასევე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის გამარტივებისა და უფრო ფართოდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის შესაძლებელია შესაბამისი მობილური აპლიკაციის შექმნაც.